ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 11 (38)

24 მაისი, პარასკევი 1991

## 26 მაისს სრულიად საქართველო აირჩევს თავის პირველ პრეზიდენტს. პრეზიდენტობის ექვს კანდიდატს შორისაა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, საქართველოს ერთგული შვილი

# ნოდარ ნათაძე



ნოდარ რევაზის ძე ნათაძე დაიბადა 1929 წელს ქ. თბილისში. მამამისი, აკადემიკოსი რევაზ ნათაძე, ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი იყო. პაპამისი, გრიგოლ ნათაძე და პაპის ძმა, ლევან ნათაძე ხელს აწერენ 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, როგორც დამფუძნებელი კრების წევრები (მათი შთამომავალნი — და-ძმა ნოდარ და მაია ნათაძეები ხელს აწერენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამჟამინდელ, 1991 წლის 9 აპრილის დოკუმენტს).

1956 წლის 9 მარტის ცნობილი გამოსვლების დროს, ქ. თბილისში, ნოდარ ნათაძე დაკავებული იყო სუკ-ში, როგორც „უწესრიგობის" მონაწილე. 9 მარტის ამბები და ხელისუფლების მიერ ჩატარებული პროვოკაცია, რომელსაც რამდენიმე ასეული ქართველი ახალგაზრდის მსხვერპლი მოჰყვა, ნოდარ ნათაძეს აღწერილი აქვს ბროშურაში „სისხლიანი პარასკევი", რომელიც ახლა გამოდის.

1961 წლიდან ნოდარ ნათაძე აღმოსავლეთ კახეთის (საინგილო) შეფობის მონაწილეა, 1965 წლიდან — საინგილოს საშეფო საქმის ერთ-ერთი ლიდერი, წლების მანძილზე იგი საშეფო კომისიის თავმჯდომარე იყო. შეგნებული ასაკის მიღწევიდან იგი უპირისპირდებოდა სსრკ და ადგილობრივი მთავრობის ანტიქართულ კურსს. მის მიერ შეიქმნა და მის ხელში გაიარა ასობით მამხილებელმა და საპროტესტო დოკუმენტმა ამ კურსის წინააღმდეგ. ნოდარ ნათაძის ტექსტები ყოველთვის მკვეთრად გამოირჩეოდა ამგვარ დოკუმენტებს შორის თავისი საბუთიანობით, მსჯელობის სიზუსტით, პოზიციის სიმტკიცითა და პრინციპულობით. 1960-იანი წლებიდან დღემდე არ დარჩენილა საქართველოს თითქმის არც ერთი მწვავე პრობლემა, რომელსაც ნოდარ ნათაძის გაბედული კალამი არ შეჰხებოდეს.

1989 წლის ივნისში საქართველოს ეროვნულმა ძალებმა ნოდარ ნათაძე აირჩიეს საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარედ.

1989 წლის აგვისტოში ნოდარ ნათაძე იყო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი. უფრო ადრე ამომრჩევლებს სურდათ მისი საკავშირო დეპუტატად არჩევა, მაგრამ ხალხის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, კომპარტიამ არ გაატარა ნ. ნათაძის კანდიდატურა რეგისტრაციაში.

ნოდარ ნათაძის უშუალო დამსახურებაა ის, რომ საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს კანონთა უზენაესობისა და საქართველოს მიწა-წყლის მიმართ საქართველოს საკუთრების შესახებ. აგრეთვე დადგენილება, რომლის თანახმად საქართველო აღიარებულ იქნა ანექსირებულ ქვეყნად, ხოლო დოკუმენტი, რომლის ძალითაც საქართველო სსრკ-ის ნაწილი გახდა — ბათილად.

ნოდარ ნათაძე საპარლამენტო ბრძოლას იმთავითვე თვლიდა ერის განთავისუფლების ერთ-ერთ გზად. ნოდარ ნათაძისა და სსფ-ის წევრ სხვა დეპუტატთა ინიციატივით საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების შესახებ. ამავე დროს ნოდარ ნათაძეს მიაჩნია, რომ საპარლამენტო ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფორმაა, ამიტომ იგი აქტიურად მონაწილეობს ბრძოლის სხვა ფორმაშიც.

ნოდარ ნათაძე არის ცნობილი მეცნიერი, ფილოლოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. მას აქვს უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები ქართული კულტურის ისტორიაში. მას ეკუთვნის პირველი დასაბუთება იმისა, რომ ქართველი ერი შუა საუკუნეებში უკვე სავსებით ჩამოყალიბებული, ერთიანი ერია და რომ სტალინის ცნობილი დებულება, ქართველები ერად XIX ს-ში ჩამოყალიბდნენო, ყალბია („დროთა მიჯნაზე", თბილისი, 1972). ნოდარ ნათაძემ განახორციელა „ვეფხისტყაოსნის" გამოცემა კრიტიკულად დადგენილი ტექსტით და სრული კომენტარით (1974), ანუ შეასრულა ის, რაც ვერ გააკეთა აკადემიურმა კომისიამ თითქმის 30 წლის მანძილზე. 1969 წლიდან ნოდარ ნათაძე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. მისი კვლევის სფეროა, განსაკუთრებით, ფილოსოფიური ანთროპოლოგია და ეთიკა. აქვს აგრეთვე ერის რაობისა და ეროვნული უფლების მეცნიერულად დასაბუთებული საკუთარი თეორია. ბევრ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ამ პრობლემის კვლევაში ნოდარ ნათაძე უფრო წინაა, ვიდრე თანამედროვე გერმანული ან ანგლოსაქსური ფილოსოფია და სოციოლოგია.

ნოდარ ნათაძე სპეციალისტებისათვის ცნობილია, როგორც ჰეგელის შრომების ქართულად მთარგმნელი. იგი ფლობს ძირითად ევროპულ ენებს.

ამჟამად ნოდარ ნათაძე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატია. არის ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრი" — თავმჯდომარე.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

# რატომ ვუჭერ მხარს ბატონ ნოდარ ნათაძის კანდიდატურას?

მე რომ საკითხის გადაჭრა შემეძლოს დღევანდელი საქართველოსათვის, არ ვისურვებდი პრეზიდენტის თანამდებობას. ინებეთ მიზეზებიც.

ჩვენი ამომრჩევლები სათანადოდ არ არიან პოლიტიზირებულნი, ამდენად, არჩევანის გაკეთებისას ემოციებით უფრო ხელმძღვანელობენ, ვიდრე ცივი გონებით.

საპრეზიდენტო პირთა გამოვლენის მექანიზმიც ჯერ კიდევ ვერ მოქმედებს სრულყოფილად.

მესამე და მთავარი ისაა, რომ სხვადასხვა დემოკრატიული ინსტიტუტების ყველა რგოლი ვერ ფუნქციონირებს სანდოდ. არის იმის რეალური შესაძლებლობა, რომ უღირსი მეთოდების გამოყენებით კაცმა წარმატებას მიაღწიოს.

ჩამოთვლილი ყველა მიზეზის გაუვნებლობა მხოლოდ დემოკრატიისა და საზოგადოების პოლიტიზაციის დონის ამაღლებითაა შესაძლებელი. ამდენად პრეზიდენტობის თანამდებობა თუ ტრადიციულად დემოკრატიულ ხალხისათვის მოსაწონი და ბუნებრივია, ჩვენში ჯერ ნაადრევადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ნიადაგ უნდა გვახსოვდეს, რომ ქვეყნის მართვის, სამშობლოს ბედის გადაწყვეტისას შეცდომის უფლება არ გვაქვს. შეცდომა არ შეიძლება ეწოდოს . ისეთ მარცხს, თუ იგი მთელი ერის ინტელექტუალური შესაძლებლობით იყო განსჯილი.

ასეთ ვითარებაში ერთი უნდა ვისურვოთ: პარლამენტის წევრთა მაღალი პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა. თუ ეს ვერ ხერხდება, საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა პრეზიდენტის არჩევა მცირე დროით.

საკითხისადმი ასე მიდგომით მრავალ ღირსეულთაგან მეც გამოვარჩიე პრეზიდენტობის ჩემეული კანდიდატი. **იგი ცნობილი სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწე და მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ ნათაძეა.**

ჩემი თაობის ხალხი სამ ათეულ წელზე მეტია ვადევნებთ თვალს ნოდარ ნათაძეს, ჩვენს თვალწინ მიედინებოდა მისი, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის მძიმე და მშფოთვარე ცხოვრება. თვალს ვადევნებდით თქო. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან იგი ერთ-ერთი იყო ამ გზაზე, რომელიც ყველა გადასახედისა თუ მოსახვევიდანაც კი ნათელში ჩანდა. ჩანდა ზნეობრივად და პოლიტიკურად წელში გამართულ მებრძოლად. თვალდახუჭული უნდა ყოფილიყავ, რომ არ დაგენახა იგი.

დიახ, ბატონი ნოდარი მიმაჩნია პრეზიდენტობის ერთ-ერთ ღირსეულ კანდიდატად და, აი, რატომ:

**ფესვები.** ფესვი არა მარტო ახარებს მცენარეს, არამედ სწორედ მასშია კოდირებული მისი ჯიშის, მხნეობის, გემოვნების და გარემოსთან ბრძოლის მთელი შესაძლებლობა.

ადამიანთა უპირველესი საზომიც ის გახლავთ (რომლის ამოძირკვასაც ასე თავდადებით ცდილობდა საბჭოთა რეჟიმი), როგორ ფესვზეა იგი ამოზრდილი.

ბატონი ნოდარის ფესვიც ეროვნული ნიადაგითაა ნასაზრდოები. 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელს აწერენ მისი სახელოვანი პაპა გიგო ნათაძე და პაპის ძმა ლევან ნათაძე. განგებამ ისე ინება, რომ 1991 წლის 9 აპრილის თავისუფლების ქარტიასაც სულმნათ გიგო და ლევან ნათაძეების შთამომავლები და-ძმა მაია და ნოდარ ნათაძეები აწერენ ხელს.

ამ ორ თაობათა შორის, პაპებსა და შვილიშვილებს შორის, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ნოდარის მამა, საქვეყნოდ ცნობილი აკადემიკოსის რევაზ ნათაძის დიდებული სახე ბრწყინავს.

**პიროვნება:** ნოდარ ნათაძე საპრეზიდენტო პიროვნებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად არჩეული „ღია ბრძოლის“ მეთოდისა, მისი პიროვნება ოდნავადაც ვერ შელახძლეს.

უფრო მეტიც, ვის უნახავს ან სმენია, რომ, მიუხედავად მისი ეგზომ რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებებისა და მოქმედებებისა, ვინმეს პიროვნება დაემცირებინოს ან აბუჩად აეგდოს ნოდარს. პირიქით, იგი ყოველთვის ცდილობს ზედმეტი ტკივილი არ მიაყენოს და პირადი ღირსება არ შეულახოს მოწინააღმდეგეს.

კიდევ მეტი, ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როცა მისთვის დამახასიათებელი პრინციპულობის გასაუვნებლად სატანური მარწუხებით ეხებიან მის სულს, მაგრამ აქაც დემონსტრირებს მისი უპირატესობა.

ბატონ ნოდარის პერსონას ერთი რამ განსაზღვრავს, იგი არაა ამბიციური, როგორც არაერთს. მას ქართული ცა საკუთარ ქუდად არ მიაჩნია და მიწა ქალამნად.

აი, რატომ ვფიქრობ, რომ ასეთი კაცისთვისაა პრეზიდენტობა უპრიანი.

**ზნესრულობა.** პრეზიდენტობის კანდიდატი ზნესრულია. ზნეობრივი ნორმები განაპირობებენ მის ქცევებს საზოგადოებაში, ოჯახში და მეგობარ-თანამზრახველებში. ნოდარის ზნეობრივ ქცევებს ეროვნული ტრადიციები, ქართული ხასიათი აყალიბებს.

ერთ პატარა, თითქოს უმნიშვნელო მაგალითზე მივუთითებ: ქუჩაში ნოდარი ჭაბუკობის ამხანაგს ხვდება. ჩამოსართმევად გამოწვდილ მარჯვენას ხელს არ აგებებს.

„შენზე ნაკლები ქართველი შემირცხვენია“, — ამოიხროტინებს გაწბილებული, დამდუღრულივით გაეცლება მდუმარედ მდგომთ.

„რა მოხდა ნოდარ?“

„იმ ხელით ესა და ეს განაჩენი დაიწერა“, — განმარტავს ნოდარი. (ლაპარაკი იყო ანტიეროვნული განაჩენის გამოტანაზე).

„ხელი მაინც უნდა გაგეწოდებინა“, — შენიშნავს თანმყოფი.

„ეს ჩემი ზნეობრივი უფლებაა!“ — პასუხობს იგი.

მეორე დეტალიც. ახლახან აჭარაში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედია საარჩევნო კამპანიის გაშლის პირველ ეტაპს დაემთხვა. აუარებელი გადაუდებელი საქმეები. ბევრი მათგანი სწორედ დღეს უნდა გადაწყდეს. ნოდარი განიზრახავს დაუყოვნებლივ ჩავიდეს აჭარაში. „დღის ბოლოს ან ხვალ წადით“, — ურჩევს მეგობარი.

„ჩემთვის პრეზიდენტად არჩევაზე მნიშვნელოვანი ძმათა შორის სისხლის ღვრის აცილებაა“, — პასუხობს ნოდარი და მიდის.

აი, რატომ მიმაჩნია მე საპრეზიდენტო ზნეობის კაცად ბატონი ნოდარი.

**მეცნიერი.** პრეზიდენტობის ჩემი კანდიდატი ნოდარ ნათაძე ბრწყინვალე მეცნიერია, ერთ-ერთი უმაღლესი რანგის რუსთველოლოგი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი. მის სასკოლო ვეფხისტყაოსანზე (სათანადო კომენტარებით) იზრდებოდა და იზრდება ჩვენი ახალგაზრდობა.

ნოდარის გონება ჰეგელის გენიითაა გასხივოსნებული, სწორედ ამიტომაც თარგმნა გერმანულიდან და ქვეყანას აჩუქა ჰეგელის „გონის ფილოსოფია“.

ვინ იცის რამდენი მტანჯველი ფიქრები აწამებდა ნოდარს ჰეგელის — „სამოქალაქო საზოგადოების“, „მართლმსაჯულების“, „პოლიცია და კორპორაციის“, „შინაგანი და გარეგანი სახელმწიფო სამართლის“, „მსოფლიო ისტორიის“ თუ სხვა პრობლემების გათავისებისა და ბედკრულ სამშობლოს სვე-ბედთან შეპირისპირებისას.

ერთ თავის უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ ადრეულ ნაშრომში იგი წერდა: „მე მინდა, ჩემი საზოგადოება ისე იყოს მოწყობილი, როგორც ჩემსა და ჩვენს ბუნებას შეესაბამება. ოჯახური ურთიერთობა და სამართალი ისე იყოს აგებული, როგორც ჩემს და ჩვენს ამოსავალ ეთიკურ და ზოგადანთროპოლოგიურ პოსტულატებს შეეფერება, ისეთ არმიაში მოვიხადო სამხედრო ბეგარა, რომლის განაწესებიც ჩემს და ჩემისთანების თანდაყოლილ წარმოდგენებს ითვალისწინებს ვაჟკაცობასა და სიკვდილ-სიცოცხლეზე და შრომითი საწარმოს სტრუქტურაში ისეთი წარმოდგენები დამხვდეს უფროს-უმცროსობაზე, ზრდილობაზე, ღირსება-უღირსობაზე, როგორსაც ჩემში და ჩემისთანებში ვიცნობ... ყოველივე ეს მინდა არა იმიტომ, რომ ეს ჩემთვის სასიამოვნოა ან ხელსაყრელია, არამედ იმიტომ, რომ ეს ცხოვრების ჩემეული (ჩვენეული) წესია, ჩემი (ჩვენი) ბუნების წესია და მსურს, მსოფლიოში ერთი ამ ჩემეული წესით აგებული საზოგადოებაც არსებობდეს, ამ უკანასკნელის უმაღლესი განსრულების — სუვერენული სახელმწიფოს ჩათვლით“.

ბატონ ნოდარ ნათაძის მიერ წლების უკან აღსარებად თქმული ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ პრეზიდენტობის კანდიდატს გამოადგებოდა პროგრამად.

ჩვენს ქვეყანაში თუ ვინმეს შეუძლია გაისიგრძეგანოს მეცნიერთა და მათი გარჯის მნიშვნელობა, ეს ბატონი ნოდარია. იგი მუდამ ქომაგი და შემწე იქნება მათი.

ნოდარი ტიპიური ქართველი ინტელიგენტია, თავისი ოცნებით, ეკონომიკური ბორკილებით, ტკივილებით და იმედებით. მან ყველაზე უფრო უწყის ის საიდუმლოება, თუ რატომაა, რომ ჯერჯერობით სულერთია, ვინც არ უნდა იყოს იგი, ჩვენი ინტელიგენცია მთელი შესაძლებლობით არ ჩაბმულა სათაყვანებელ სამშობლოს ჭირ-ვარამის განსჯაში.

საერთოდ კი, მას სჯერა ქართველი ინტელიგენციისა.

აი, რატომ მსურს, რომ ასეთი მეცნიერი და ინტელიგენტი, დოქტორი ნოდარ ნათაძე ვიხილო საქართველოს პრეზიდენტად.

**მიწის ყივილზე ყურის მიგდები:** ბატონ ნოდარს შეუძლია დაიკვეხოს მშობელ მიწაში მიდგას ფესვებით. მას მინდიასებრ ესმის მიწის ყივილი. მიკვირს საიდან უნდა ჰქონდეს ქალაქელ კაცს ქართველი გლეხის ტკივილის და ჭირ-ვარამის ასე ღრმად გაცნობიერება-განცდის უნარი.

ბატონ ნოდარისათვის საქართველო სამიწათმოქმედო ქვეყანაა. სწორედ ამიტომაც ქვეყნის დაძაბუნებას გლეხის მოსპობა-გადაშენებაში ხედავს. სწორედ ამიტომაც აყენებს იგი თავის პროგრამაში „საკარმიდამო და სამოსახლო ნაკვეთების დაუყოვნებლივ გაცემას და გაზრდას მაქსიმუმამდე... მავნე, ეგრეთწოდებული საიჯარო ფორმებიდან კერძო მიწათმფლობელობაზე გადასვლას და მის სახელმწიფო ხელშეწყობას“.

ბატონ ნოდარს სტკივა ის, რომ დრო გადის და ქართული მიწა ვერ დგება ხალხის სამსახურში. კვლავაც სულის შემხუთველადაა აღმართული სოფლის სოციალისტური ბასტიონები — კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ისინი კვლავაც აგრძელებენ არაქათგამოცლილი გლეხის უღვთო ექსპლოატაციას.

პრეზიდენტობის კანდიდატს სტანჯავს და სტკივა ქართველი გლეხკაცის სატკივარი: აი, რატომ ვფიქრობ, რომ იგი მიწათმოქმედის პრეზიდენტიც იქნება.

**პოლიტიკოსი:** ჩემი ღრმა რწმენით, ბატონი ნოდარი ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკოსია დღევანდელ საქართველოში. იგი შესაშური სიღრმით ერკვევა ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკურ თუ წმინდა პოლიტიკურ ვითარებაში. ასეთი კაცებით ხომ არცთუ ისე განებივრებულნი ვართ.

ბატონი ნოდარის პოლიტიკური ალღოს სწორუპოვრობა იმაშიცაა, რომ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯერ კიდევ ამ ოცდაათიოდე წლის წინათ აირჩია მან „ღია გზა“. იგი მეცნიერის კალმით იბრძოდა ეროვნული საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად. აშკარად, მარტო თუ თანამზრახველთა (ეძებდა და ჰპოვებდა) ხელისმოწერით ამხელდა ყველა ჯურის ბოროტებას და თავისი „ნაციონალისტობით“ „სისხლს უშრობდა“ ხელისუფალთ.

გასაოცარია, მაგრამ მოხდა ის, რომ იმპერიასთან „ღია ბრძოლაში“ ყველას დასანახად მებრძოლი ბატონი ნოდარი გამარჯვებული გამოვიდა. გადაარჩინა ნიჭმა და პოლიტიკურმა ალღომ.

რამდენ ეროვნულ საჭირბოროტო საკითხს მოევლო მისი წყალობით. რამდენი მრისხანედ მოღრიალე მარჯვენა შეაჩერა მისმა საპროტესტო ხმამ. მოვა დრო და ყველაფერს გაისიგრძეგანებს მადლიერი ჩამომავლობა.

ბატონ ნოდარს, როგორც პოლიტიკოსს, ნათელს ჰფენს უნარი სხვათა პოლიტიკური ღვაწლის შეცნობა-დაფასებისა. სწორედ აღნიშნულის წყალობით, იგი ყველა პატრიოტული ძალის შეკავშირების ფლაგმანად, პროგრესულ-ეროვნული ძალების შემაკავშირებელ ერთადერთ კაცად უნდა მივიჩნიოთ.

ძნელი წარმოსადგენია მოიძებნოს სხვა კაცი, რომელსაც შეეძლოს ბატონ ნოდარის მოთხოვნის შესრულება. ქვეყანა უნდა იმართებოდეს „მხოლოდ პიროვნებათა პროფესიული კომპეტენციის, მოქალაქეობრივი პატიოსნებისა და პატრიოტული ერთგულების ნიშნის მიხედვით, პარტიული კუთვნილების განურჩევლად“. ღმერთო! როგორ გვიჭირს და გვჭირდება დღეს ისეთი კაცი, რომელიც რამდენადმე მაინც შესძლებს ეროვნული ძალების გაერთიანებას, მათი ენერგიის, ენთუზიაზმის მარცვალ-მარცვალ შეკავშირებას.

ბატონ ნოდარს არნახულად ეზიზღება თავისი ხალხის მტერი, მაგრამ როგორც არავის, პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, მტკიცედ შეუძლია ჩააცხროს საკუთარი ვნებები და ავის მომტანად არ იტივტივოს ბოროტებით და ზიზღით მოცულ გარემოშიც კი.

ნოდარი ბრწყინვალე პოლიტიკური ორგანიზატორიცაა, რაც კარგად გაცხადდა ეროვნული მოძრაობის ისეთ მძლავრ მასობრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციის ჩამოყალიბებისას, როგორიცაა საქართველოს სახალხო ფრონტი. სწორედ აქ, ბატონ ნოდართან თანადგომით დაფრთიანდა ბევრი საიმედო ეროვნული მოღვაწე, რომელთაც სურთ თუ არა, უნდა აღიარონ ეს.

აი, ყველაფერი ის, რაც მაბედვინებს ვთქვა, რომ ბატონი ნოდარ ნათაძე ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი კაცია, რომლისთვისაც ალალია სრულიად საქართველოს პრეზიდენტობა.

**მიხეილ კეკელია,**
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

# ამომრჩეველი არჩევნების შესახებ

**პრეზიდენტობის** კანდიდატების საარჩევნო კამპანია დასასრულს უახლოვდება. დემოკრატიულობა ვინ დააბრალა, არ ვიცი. დემოკრატიული ისეთ არჩევნებს ხომ არ ჰქვია, როდესაც არაფერს გაძალებენ (ასეთს თავისუფალი ეწოდება). დემოკრატიული მაშინ არის, როდესაც ხალხის მიერ ქვეყნის მართვას უზრუნველყოფს. ამ მიზნით კი პირველ რიგში ასარჩევთა პოზიციების მკაფიო გამოვლენა და მათი სამომავლო გეგმების ურთიერთდაპირისპირება (ლანძღვა კი არა, გარჩევა) უნდა მოეწყოს. ეს დემოკრატი პოლიტიკოსების უპირველესი საქმეა. მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში კი კანდიდატები მას არ ასრულებენ ან ვერ ასრულებენ.

საქართველოს პრეზიდენტის უარიც კონკურენტებთან დებატებზე აშკარად ანტიდემოკრატიულია. დებატები ხომ კანდიდატების საამებლად არ ეწყობა, არამედ ამომრჩეველთა გათვითცნობიერების მიზნით.

საარჩევნო კამპანიის ამომრჩევლთა უპატივცემულოდ ჩატარება, ხალხისადმი უნდობლობა, მასთან სერიოზული პოლიტიკური დიალოგისაგან თავის არიდება სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც იგრძნობა.

ამ საქმეს მხოლოდ მაშინ ეშველება, როდესაც (ალბათ, ამ არჩევნებზე ველარ, მაგრამ როდისმე ხომ უნდა დავიწყოთ) ამომრჩევლები ვიგრძნობთ თავს ქვეყნის პატრონად, ვიგრძნობთ პასუხისმგებლობას თანამემამულეთა და მომავალი თაობების წინაშე.

**იური მამალაძე**

## სამძიმარი

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი და გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს ბატონ ნოდარ ნათაძეს დედის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი მოგონება



**1988  წელი.** საბეჭდი მანქანის (ამ მანქანაზე იბეჭდებოდა თვითგამოცემითი ჟურნალი „საქართველო") შესაკეთებლად დილიდან დავდიოდით სახელოსნოებში მერაბ კოსტავა, ვაჟა ადამია და მე, როგორც წესი, ჩვენს მანქანას თან სდევდა სამი სუკ-ელი. ისინი თეთრ ჟიგულში ისხდნენ და საკმაოდ გაუფრთხილებლად გვადევნებდნენ თვალს, საოცრად ართობდა ეს ფაქტი ბატონ მერაბს, ვაჟა ადამიას ხან შეაჩერებინებდა მანქანას, ხან დაუსრულებლად არტყმევინებდა წრეს ერთი და იგივე ადგილას. მეთვალყურენი იბნეოდნენ, მიჰყვებოდნენ ჩვენს არეულ სვლას და ამით თავს ამჟღავნებდნენ. მერაბი იცინოდა.

მანქანის შეკეთებაზე ყველგან უარი გვითხრეს. როგორც ჩანს, „უშიშროების" მიერ იყვნენ გაფრთხილებულნი. საღამომდე ვიარეთ თბილისის ქუჩებში. დავიქანცეთ ჩვენც და ჩვენი მეთვალყურენიც. ბ-ნ მერაბს შეებრალა „კაგებეშნიკები" და ვაჟას უთხრა: — ეს ხალხი დილიდან რომ დაგვყვება, მოშივდებოდათ და იქნებ დაგვპატიჟონ სადმე, ბოლოსდაბოლოს, ჩვენს დევნაში ხელფასს აძლევენ; თუ არა და, ჩვენ დავპატიჟოთო.

ვაჟა ადამია მართლაც მივიდა ამ წინადადებით. მათ ჯერ თავი ოფიციალურად დაიჭირეს, ვინ ბრძანდებით და რა გნებავთო. შემდეგ მიხვდნენ, რომ ისედაც გამხელილები იყვნენ და მადლობა გადაუხადეს. მერე ჩვენ ძველი თბილისის ერთ-ერთ უბანში სახინკლეში შევედით. „შპიკებმა" მოშორიახლოს გააჩერეს მანქანა და გადამცემი ამოიღეს. ბატონი მერაბი იცინოდა, ახლა ალბათ თავიანთ უფროსებს გადასცემენ, მერაბი სადილად ამდენ და ამდენ ხინკალს გეახლებათო.

მახსოვს, ერთხელ, დასავლეთ საქართველოში ყოფნისას შუა სუფრიდან წამოდგა, გაოცებულ მასპინძელს ლანგარზე დაალაგებინა პურმარილი და ქუჩაში, პიშკრის მოშორებით მდგარ მანქანაში შეყუჟულ მშიერ-მწყურვალ სუკ-ელებს მიუტანა, მათთან ერთად დალია ერთი ჭიქა და სუფრასთან დაბრუნდა. ეს გააკეთა საოცარი ტაქტით, ვინმეს ღირსება რომ არ შეელახა.

საბეჭდი მანქანა, რა თქმა უნდა, ვერ შევაკეთეთ.

**მერაბ** კოსტავა ხშირად მღეროდა ქართულ ხალხურ სიმღერებს, ზოგჯერ მიტინგებზე, კრებებზეც კი, უმეტესად კი სუფრასთან. მღეროდა ჩვეული რიხით, ფეხზე წამომდგარი, ზვიად გამსახურდია ბანს ეუბნებოდა ხოლმე, ჰყვებოდნენ სხვებიც. სიმღერა ყველაზე მეტად ავლენდა მის ბუნებას — პირქუშს, ღრმასა და ნაღვლიანს.

ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ ასრულებდა იგი საფორტეპიანო კლასიკას.

ერთ საღამოს ჩემთან, სახლში ამოვიდა. დასაბეჭდი მასალები ამომიტანა. არ ეჩქარებოდა და მინდოდა მეთხოვა, რომ ფორტეპიანოზე დაეკრა. თითქოს მიმიხვდა და ინსტრუმენტს მიუახლოვდა. მსუბუქი არპეჯიოთი გაიარა კლავიატურა, ჟღერადობა შეამოწმა. ოოჰ, კარგიაო, ჩაილაპარაკა და დაჯდა. ჯერ ბეთჰოვენის „პათეტიკური სონატა" შეასრულა, მერე მენდელსონი, შოპენი, ბოლოს ისევ ბეთჰოვენი. უკრავდა ჩაფიქრებული, მრისხანე მზერით შეკავებული სევდით. მძიმედ ილეწებოდნენ აკორდებს მისი უხეში, ძარღვიანი ხელის მტევნები და ამ მძლავრი თითებისთვის შეუფერებელი სიმსუბუქით დაჰქროდნენ კლავიშებზე. თითქმის ნახევარ საათს უკრავდა. ნაწარმოებს ნაწარმოები მოსდევდა. ბოლოს წამოდგა, რაც ციხიდან გამოვედი, არ დამიკრავსო და, რა თქმა უნდა, არც ციხეშიო, ჩაილაპარაკა. გავოცდი. ალბათ თერთმეტი (თუ მეტი არა) წელი მაინც იყო გასული, რაც ინსტრუმენტთან არ დამჯდარიყო, და მის თითებს მაინც შეენარჩუნებინა საოცრად დახვეწილი ტექნიკა, ახლა, ამ ურთულესი ნაწარმოებების დაკვრისას რომ გამოამჟღავნა.

**ლელა კოდალაშვილი**

## პოლემიკა

# უფრო კომპეტენტურად განვიხილოთ პრესის კანონპროექტი

გაზეთ „საქართველოს" 11 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ბატონ ზაზა ქინქლაძის წერილი „პროექტი პრესის „პრესზე", რომელიც ფაქტიურად ერთადერთი გამოხმაურებაა გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" 11 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ ჩვენს მიერ შემუშავებულ პროექტზე კანონისა „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ". მართალია, ეს პროექტი გამოქვეყნდა ჩვენთან შეთანხმებისა და ჩვენი განმარტების გარეშე, ჩვენ მაინც მოუთმენლად ველოდით გამოხმაურებას (კანონის გამოქვეყნებაც ხომ სწორედ ამ მიზნით ხდება) — მძაფრს, კრიტიკულს, მაგრამ არ ველოდით ტენდენციურს და არაკომპეტენტურს. ზემოხსენებული წერილი კი, სამწუხაროდ, სწორედ ასეთი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ავტორს ეტყობა დაკვირვებით არც კი წაუკითხავს ჩვენი პროექტი. ეს პირველსავე წინადადებაში ჩანს, რომელშიც იგი გვიკიჟინებს პროექტის არასწორ სახელწოდებაზე. არადა, ის სახელწოდება, რომელსაც ბატონი ზაზა იწუნებს, სწორედ, მისივე მოწონებული პირველ, ანუ სამთავრობო, პროექტს აქვს სათაურად წამძღვარებული, ხოლო მის მიერ მოთხოვნილი სახელწოდება — იმავე გვერდზე დაბეჭდილ „დას"-ის მიერ შემუშავებულ პროექტს.

ეჭვი გვეპარება, რომ ბატონ ზაზას საკუთარი წერილიც არ წაუკითხავს დაკვირვებით, რადგან შემდეგ აბზაცში იგი თვითონვე ვეღარ არჩევს რომელია ის, მის მიერ გამოცხადებული „ორი ბატონი" — მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დეპარტამენტი და „საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა ორგანო", თუ ზემოხსენებული დეპარტამენტი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პლურალიზმისა და საჯაროობის სახელმწიფო კომიტეტი.

რაც შეეხება „ორ ბატონს", არც ერთ შემთხვევაში არავითარ ორ ბატონზე არ არის ლაპარაკი. თუ პირველ შემთხვევას გულისხმობს ბ-ნი ზაზა, პროექტის ტექსტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დეპარტამენტს და იმ სხვა ორგანოს „ან" კავშირი ჰყოფს, რაც გულისხმობს ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რეგისტრაციის შესაძლებლობას არა რესპუბლიკურ დეპარტამენტში, არამედ მთავრობის მიერ განსაზღვრულ სხვა, მაგალითად, ადგილობრივ, აღმასრულებელ ორგანოში (მაგალითად, პრეფექტურაში). ხოლო რაც შეეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დეპარტამენტს, რომლის სახელწოდებასაც ჩვენი კრიტიკოსი სამი კითხვის ნიშანს უსვამს, სხვა არაფერია თუ არა სახელ და ფუნქციაგაფართოებული დღეს არსებული ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი. ამ ორგანოების „ბატონობაზე" კი ის უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ ფუნქციაში შედის მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მაქსიმალურად გაადვილებული და თითქმის ფორმალობამდე დაყვანილი რეგისტრაციის ორგანიზება, რომელიც ბოლომდე რეგლამენტირებულია და გამორიცხავს ამ ორგანოების მოხელეთა მხრიდან რეგისტრაციის ბიუროკრატიულ გაჭიანურებას (რეგისტრაციის შემჭიდროებული ვადები. უარის თქმის შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანა და სასამართლოში გასაჩივრების საშუალება, იხ. მუხლ. 8-10).

მეორე შემთხვევაში ნაგულისხმევ „მეორე ბატონთან", მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პლურალიზმისა და საჯაროობის სახელმწიფო კომიტეტთან დაკავშირებით კი, ბატონი ზაზას გაურკვევლობა სავსებით გასაგებია, რადგან ასეთი ორგანოს (სახელწოდებაზე არაფერს ვამბობთ, იგი უდაოდ საკამათოა, თუმცა მის წინააღმდეგ ისეთი არგუმენტი, როგორიც ბატონ კრიტიკოსს მოჰყავს — „გორბაჩოვისეული ტერმინოლოგია", აქ სრულიად უადგილოა) არსებობა საბჭოურ კანონმდებლობაში უპრეცენდენტოა — მას ანტიმონოპოლური ორგანოს ფუნქცია აკისრია და არა პრესის „პრესისა". ბატონ ზაზას დაკვირვებით და ბოლომდე რომ წაეკითხა პროექტის ტექსტი (და ეს რომ ასე არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ მას თავისი კრიტიკული პოზიციის დასამტკიცებლად მაგალითად მოჰყავს ციტატა ამ კომიტეტის შემადგენლობაზე და არა მის ფუნქციებზე) დაინახავდა, რომ კომიტეტი არის არა „პრესისა და სიტყვის თავისუფლების ადმინისტრაციული პატრონი", არამედ სასამართლოსავით დამოუკიდებელი. (მისი წევრების დანიშვნა ხდება რესპუბლიკის ხელმძღვანელების მიერ, მაგრამ მათი უფლებამოსილება უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მათი დამნიშვნელი და ამრჩევი არჩევითი ორგანოებისა და მათი გაწვევაც შეუძლებელია უფლებამოსილების დამთავრებამდე), ორგანო, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მონოპოლიის არდაშვება — პრესის შემთხვევაში საერთო-პოლიტიკური გაზეთების საერთო ტირაჟის გარკვეულ ნაწილზე (ჩვენს პროექტში 15%-ზე) მეტი ტირაჟის მქონე გაზეთების ფლობისა (ე. ი. დამფუძნებელთა, გამომცემელთა (სიმრავლის, ანუ პლურალიზმის დაცვა) და სხვისი სახელით გაზეთისა თუ სხვა გამოცემის კონტროლის (ე. ი. საჯაროობის დაცვა) დაუშვებლობით. ამ კომიტეტის უფლებების შეზღუდვა ამით არ შემოგვიფარგლავს — მისი მოქმედება სასამართლო ორგანოების მეთვალყურეობით უნდა ხდებოდეს და მისი გადაწყვეტილებები უზენაეს სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს. ასე რომ, არავითარი მსგავსება იდეოლოგიური კონტროლისა და ცენზურის „გებელსის ფაშისტურ უწყებასთან" ამ კომიტეტს არ გააჩნია და, მიუხედავად ბატონი ზაზას უაპელაციო მტკიცებისა, ასეთი ორგანო ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაშიც მოიძებნება, მაგალითად, საფრანგეთში.

ახლა, რაც შეეხება „უზურპირებული უფლებების ნაწილის რესპუბლიკის მთავრობისათვის გადაცემას". საგანგებო სიტუაციაში (როგორიცაა საომარი მდგომარეობა, ფართო მასშტაბების ეპიდემიის, სტიქიური უბედურება და სხვ.) დემოკრატიული ქვეყნების მთავრობების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის თავისუფლების (კერძოდ, ჟურნალისტის უფლებების 1. მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია; 2. აწარმოოს ყოველგვარი ჩანაწერები, მათ შორის აუდიოვიზუალური; 3. პროფესიულ-ჟურნალისტური მოვალეობების შესრულებისას ჟურნალისტის მოწმობის წარდგენით. მიღებულ იქნას თანამდებობის პირთა მიერ, იმყოფებოდეს სტიქიური უბედურების, სხვა საგანგებო მდგომარეობის რაიონებში, დაესწროს მიტინგებს, დემონსტრაციებს, ყრილობებს, სხვა შეკრებებს; დაცული იყოს მისი ავტორობის საიდუმლოება". — ციტატა ბატონ ზაზას მიერ გაკრიტიკებული 30-ე მუხლიდან). დროებით შეზღუდვა არც ისე იშვიათი შემთხვევაა (გავიხსენოთ ცენზურის შემოღება საბრძოლო მოქმედების ზონიდან გადაცემულ ინფორმაციაზე და ჟურნალისტთა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა ამ ზონაში, ახლო აღმოსავლეთში ამ ცოტა ხნის წინანდელი წარმოებული ომის დროს). რა თქმა უნდა, არადემოკრატიულ მთავრობას შეზღუდვის დაწესება შეუძლია დიდი ხნით და ბევრ სფეროში, მაგრამ ჩვენ ვერ მოვახდენთ სწორებას ასეთ მთავრობაზე და ვერც ვერავითარი კანონი მას ამაში ხელს ვერ შეუშლის. ნორმალურ საზოგადოებაში მთავრობის მიერ შემოღებული უკანონო და ანტიდემოკრატიული შეზღუდვები გარკვეულ რეაქციას იწვევს მოქალაქეებში და მორიგი არჩევნების შედეგებზე მოქმედებს, და სწორედ ასეთი საზოგადოების აშენებაზე უნდა მოვახდინოთ სწორება.

რაც შეეხება ჯარიმების ოდენობას, მათი ნომინალური მნიშვნელობები აუცილებლად კამათის საგანი უნდა შეიქნას. მაგრამ მოკამათეებს საკუთარი ალტერნატიული წინადადება უნდა გააჩნდეთ. ჩვენ კი ამ ჯარიმების შემოღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონის დამრღვევთა მოქმედების თავისუფლების შეზღუდვების, მათზე ეკონომიკური ზემოქმედების მეთოდების შეცვლის მიზნით. ასეთ სახჯელს სასამართლო დააკისრებს დამრღვევს და, მისთვის უბრალოდ, ეკონომიკურად არახელსაყრელს გახდის კანონის დარღვევას. თანაც ასეთი დიდი ჯარიმები (იგივე დარღვევებისათვის აბსოლუტური მნიშვნელობით ერთიორი რიგით მაღალიც) მიღებულია მსოფლიოს საკანონმდებლო პრაქტიკაში.

ერთადერთი საკითხი, რომელშიც შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმოთ ჩვენს კრიტიკოსს, ეს არის იმ პუნქტის მიუღებლობა, რომლითაც მასობრივი ინფორმაციის საშუალების დაარსების უფლება ერთმევა განზრახ ჩადენილი მძიმე დანაშაულისათვის ადრე თავისუფლების აღკვეთამისჯილ პირს. ეს პუნქტი (რომლის პრეცენდენტიც, მართალია, არსებობს, მაგ. ლიტვის შესაბამის კანონში) შეტანილი იყო ერთ-ერთი ავტორის მიერ (გ. ლაპიაშვილი) და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოქვეყნდა „დას"-ში წინასწარი განხილვის გარეშე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მძიმე დანაშაულად ნაგულისხმევია დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა და სხვა მისი მსგავსი დანაშაული. მაგრამ არც ბატონი ზაზას არგუმენტებია მაინცდამაინც მეუვალი, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომლის გასამაგრებლადაც იგი იშველიებს ისეთ ავტორიტეტებს, როგორიცაა ვლადიმერ ულიანოვი და იოსებ ჯუღაშვილი (მაგალითად, სიტყვის თავისუფლება ამ პუნქტით არ იზღუდება — ასეთი პიროვნება ვერ იქნება მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალების მფლობელი).

ამავე აბზაცში ბატონი ზაზა ნოსტალგიას იჩენს „თერგდალეულებისა, თუნდაც რევოლუციონერების" დროზე იმ საბაბით, რომ მე-10 მუხლის (ე და არა გ) პუნქტით აკრძალული მასობრივი ინფორმაციის საშუალების მფლობელს ერთი წლის განმავლობაში არ ეძლევა შესაძლებლობა დააარსოს იგივე სახის მასობრივი ინფორმაციის საშუალება. კრიტიკოსის ალოგიზმი აქაც გაცხადდა — თუ აკრძალვის ინსტიტუტი მისაღებია პრინციპში, ზემოხსენებული შეზღუდვის გარეშე მას ყოველგვარი აზრი ეკარგება.

ბატონ ზაზასთვის მოსალოდნელი ყოფილა, რომ გაკრიტიკებული „პროექტანტები" არ მოიხსენიებდნენ თავის პროექტში ტელე-რადიო დეპარტამენტს, თუმცა, მას არ ეხამუშება ის, რომ იგივე დეპარტამენტი არ უხსენებიათ მის მიერ მოწონებულ პროექტში (კიდევ ერთი მტკიცება მისი ტენდენციურობისა). ჯერ ერთი, ტელე-რადიო დეპარტამენტის კანონში ხსენება სწორედ მისი მონოპოლიის ცნობა იქნებოდა. მეორეც, ჩვენი აზრით ტელე-რადიო კომუნიკაციების შესახებ ცალკე კანონი უნდა შეიქმნას, რომელიც ზემოხსენებულ კანონს დაეფუძნება (ასეთი პროექტის გამოქვეყნებას უახლოეს პერიოდში ვაპირებთ).

თავისი წერილის დასასრულს „დას"-ის პროექტის სხვადასხვა „თეორიულ-ზნეობრივი ლაფსუსით" გულამღვრეული კრიტიკოსი აღფრთოვანებას გამოთქვამს მის მიერ ნაქებ და მოწონებულ პროექტში შემდეგი „მუხლის" არსებობით: „თუ სახელმწიფო ორგანოები არღვევენ პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლების კანონს (რაღაც ახალი კანონია — გ. ლ. ლ. ტ.), მათ წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე". „არამც თუ შეიძლება", აუცილებლად უნდა აღიძრას..." აღმოხდა ბატონ ზაზას პათეტიკურად. მაგრამ იძულებულნი ვართ გავუნელოთ ბატონ ზაზას აღტკინება: ამ „მუხლის" ამოქმედება არამც თუ არ შეიძლება, არამედ შეუძლებელია, რადგან სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება კონკრეტული პიროვნების, კერძოდ, პასუხისმგებელი პირის წინააღმდეგ. და არა სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსი.

ასევე გვიხდება ბატონ ზაზას პათეტიკის განელება შემდეგ პასაჟთან დაკავშირებით: „...და რა თქმა უნდა „დას"-ის პროექტში „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პლურალიზმისა და საჯაროობის სახელმწიფო კომიტეტი" (თავბრუ დამეხვა) და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელშეუხებელია". მართალია გაუგებარია რა „შესაბამის სახელმწიფო ორგანოზეა" ლაპარაკი. მაგრამ ზემოხსენებული კომიტეტი, რა თქმა უნდა, ხელშეუხებელი უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებისათვის, ხოლო მისი უკანონო მოქმედება სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს (ამაზე უკვე ვთქვით დასაწყისში).

დასასრულს, გვინდა ვთხოვოთ ბატონ ზაზა ქინქლაძეს, აგრეთვე ყველა დაინტერესებულ პირს, განსაკუთრებით ჟურნალისტებს, დაკვირვებით წაიკითხონ ჩვენი კანონპროექტი და მოგვაწოდონ კონსტრუქციული წინადადებები. შემდეგი მისამართით: გრიბოედოვის 19, ოთახი 85, „დას"-ი.

**გიორგი ლაპიაშვილი,**
**ლაშა ტუღუში**

# „არავის ვემონოთ გარეშე ღვთისა დამბადებლისა“

## გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორისაგან

**თავს** მოვალედ ვთვლი, გამოვაქვეყნო განცხადება გაზეთ „საქართველოს“ პოზიციის შესახებ.

ჩვენი გაზეთის მუდმივი მკითხველისათვის ჩვენი პოზიცია, ვფიქრობ, ისედაც ნათელია, მაგრამ რედაქციაში შემოსული წერილები, სატელეფონო ზარები თუ პირადი საუბრები გვაფიქრებინებს, რომ ზოგთათვის ეს განმარტება ზედმეტი არ იქნება.

ასე მაგალითად, ერთნი მიიჩნევენ, რომ ჩვენ ოპოზიციაში ვუდგევართ რესპუბლიკის ხელისუფალთ და კონგრესისკენ ვიხრებით.

სხვანი, პირიქით, გვსაყვედურობენ, რომ ჩვენ სახალხო ფრონტის კი არა, „მრგვალი მაგიდის“ გაზეთს ვცემთ, და, რომ, პირადად მე, ბატონ ზვიად გამსახურდიას აგენტი ვარ სახალხო ფრონტში. მავანნი კი ე. წ. „ზომიერების“ პოზიციის გამომხატველად მიგვიჩნევენ.

ხოლო უზენაესი საბჭოს დეპუტატები, რაკი სახალხო ფრონტის ორგანო აწერია გაზეთს, სათოფეზე არ გვეკარებიან და ჩვენთან გამოქვეყნებული წერილების პასუხებს სხვაგან ბეჭდავენ. ამ არაეთიკური საქციელით ქმნიან შთაბეჭდილებას ჩვენი არადემოკრატიულობის შესახებ (ერთ მხარეს ვბეჭდავთ, მეორეს კი არა) და რაც მთავარია, იწვევენ დაპირისპირებას სხვადასხვა გაზეთებისას.

ძვირფასო მეგობრებო, თქვენს ბრალდებებს მარტივი მიზეზი აქვს. ამ დაპარტიულებულ და დაჯგუფებულ-დაასოციაციებულ საქართველოში, ვერ წარმოგიდგენიათ ორგანო, რომელიც ვილაცის რუპორი არ იქნება (სხვათაშორის, ასეთი გაზეთების მუშაკები გაცილებით უკეთესად გრძნობენ თავს). ...არავის „აგენტი“ არ გახლავართ, მეგობრებო, არც უზენაესი საბჭოსი, არც კონგრესისა და არც „ზომიერებისა“.

სახალხო ფრონტი შეიქმნა, როგორც ზეპარტიული ორგანიზაცია, ჩემი დიდი სურვილია ასეთად დარჩეს იგი. ყოველ შემთხვევაში, გაზეთი „საქართველო“ ამ პრინციპით ხელმძღვანელობს. ჩვენ ყველანი საქართველოს შვილები ვართ. ამიტომ ამ გაზეთში ადგილი ყველას ეკუთვნის, ცხადია, მათ შორის ოპოზიციასაც. ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება იგი მიმართული, თუ სახალხო ფრონტის წინააღმდეგ, ხოლო თუ ეს ჩვენს გამომცემლებს არ მოეწონებათ, თავაზიანად დავემშვიდობებით მათ, რამეთუ არ უნდა ვემონოთ არვის, გარეშე ღვთისა დამბადებლისა.

## სიტყვა ოპოზიციას

# ღია წერილი

## დეპუტატ არჩილ მინდიაშვილს

**სხვანაირად** ვერ მოგმართავთ, ბატონო არჩილ, რამეთუ თქვენს ქცევას არაფერი საერთო არა აქვს მღვდლობასთან (ნომოკანონზე რომ აღარ ვილაპარაკოთ).

ბევრჯერ ვიკავებდი თავს, გულით არ მსურდა შემოსილ კაცზე მსგავსი წერილის დაწერა, მაგრამ 11 მაისს თქვენმა სატელევიზიო გამოსვლამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ თქვენი მხილება აუცილებელი იყო; აუცილებელი იყო თქვენი სამწყსოსათვის, რომელსაც თქვენ აბნევთ და ცოდვაში აგდებთ, აუცილებელი იყო მთელი ერისათვის, რომელიც კვირაში ერთხელ მაინც ისმენს თქვენს ქადაგებებს ტელევიზიით და აუცილებელი იყო პირადად თქვენთვის, რამეთუ ადრე წესიერ კაცად, პატიოსან მოძღვრად გიცნობდით და ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ ადამიანს, მით უმეტეს, შემოსილს, ეყოფა ძალა საკუთარ შეცდომებზე მაღლა დადგომის და პეტრეს ცრემლებით სულის განბანვის.

თქვენ, მღვდელი, „მრგვალი მაგიდის“ პოზიციიდან უყურებთ საქართველოს, მაგრამ საქართველო, ღვთის მადლით, „მრგვალ მაგიდაზე“ უფრო დიდია და დროა, ყველა კერპთაყვანისმცემელმა გაიგოს ეს.

არ მოგვწონდა, მაგრამ ვითმენდით, როდესაც თქვენ ქაშვეთის ტაძარში ქადაგებისას უშვერი სიტყვებით ლანძღავდით ეროვნულ კონგრესს, ოპოზიციის ხელში ეროვნულ დროშას ჩვრად წარმოსახავდით და მრევლს ოპოზიციის მიტინგებზე სიარულს უკრძალავდით: ალსარებაში ცოდვასავით ათქმევინებდით.

ეროვნული კონგრესის თქვენ რა არ მოგწონთ? დავიჯერო ის, რომ ზოგი ჩვენგანი თეოდემოკრატიას ქადაგებს და მთელი კონგრესი კი მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის ზრუნავს? იქნებ ნომოკანონის პრინციპების დაცვისთვის ზრუნვას გვიწუნებთ, აკი, არც შეგრცხვათ და ძველმართლმადიდებლობა დამაბრალეთ.

11 მაისის გადაცემაში თქვენ მრავალი მომაკვდინებელი ცოდვა ჩამოთვალეთ (რასაც თქვენი ინტერპრეტაციით მიწისძვრა გამოუწვევია საქართველოში) და ბოროტების ერთ-ერთ წყაროდ (ე. ი. მიწისძვრის მიზეზადაც) ოპოზიცია („ცრუ-ოპოზიცია“, როგორც თქვენ გაიმეორეთ თქვენი „რჩეულის“ სიტყვები) დაასახელეთ (?!).

მღვდელი (?!) ხართ, მაგრამ მაინც შეგბედავთ — ღმერთის არ გწამთ? სამსჯავროსი არ გეშინიათ? რა თქმა უნდა, მიწისძვრა, ისევე როგორც სხვა მრავალი უბედურება, ჩვენი ცოდვების გამო მოგვივლინა უფალმა, მაგრამ მხოლოდ ერთი — ღვთისგმობა არის მიზეზი ჩვენი დღევანდელი უბედურების და ამ მთავარს შეგახსენებთ: ქართველმა ერმა მეოთხე საუკუნეში მიიღო ქრისტიანობა და მართლმადიდებლობის ერთგული იყო მარად, მაგრამ დღეს, მეოცე საუკუნის დასასრულს, ჩვენი ხალხის გარკვეული ნაწილი კერპთაყვანისმცემლობას მიუბრუნდა და თქვენ, ბატონო არჩილ, ისევე როგორც მრავალ სხვას, დიდი „წვლილი“ მიგიძღვით ამ საქმეში.

აკაკი ასათიანი ზვიად გამსახურდიას რომ წმინდა გიორგის უწოდებს, რატომ არ იღებთ „მეფეთა მამხილებელი“ ხმას? პრესა და ტელევიზია, რომ ამ ახალი „მესიის“, „ზეკაცის“, „სულით წმინდასა“ და „ქრისტესავით მშვენიერის“ განდიდებას ემსახურება, რატომ დუმხართ „ერეტიკოსთა შემმუსვრელო“? საოკუპაციო ჯარები და „ეროვნული ხელისუფლება“ რომ გაერთიანებული ძალებით ანადგურებს პატრიოტულ გაერთიანება „მხედრიონს“, თქვენ, ქრისტიანს, როგორ შეგიძლიათ მშვიდად ძილი? (აღარ არის „მხედრიონი“, მაგრამ დანაშაულებათა რიცხვმა კი არ იკლო, არამედ იმატა, ხოლო ტელევიზიით ლამის ყოველდღე გვაფრთხილებენ ახალ-ახალ დაკარგულთა შესახებ ცნობით). რეპრესიებს ვერ ხედავთ, ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტებს ვერ ამჩნევთ, უზენაესი საბჭოს დეპუტატთა დიდი უმრავლესობის უწიგნურობა არაფერს არ გეუბნებათ, პრეფექტების მიერ რაიონებში სამოქალაქო ომის გაჩაღების მცდელობა არ გაღელვებთ, ნოდარ იმნაძე რა ვითარებაში დაიღუპა და ვინ არის მის სიკვდილში დამნაშავე, არც ეს გაინტერესებთ... რატომ, ბატონო არჩილ, რა მიზეზით? დღეს საქართველოს მთელი განათლებული მსოფლიო ველურ ქვეყნად მიიჩნევს და მისი განთავისუფლების კიდეც ეშინიათ, რადგანაც დასავლეთს დესტაბილიზაცია არ აწყობს და მეორე ლიბანი ან მეორე ერაყი მას ნამდვილად არ სჭირდება. ამაში კი, ბატონო არჩილ, კრემლთან ერთად დამნაშავეა ის ბლოკი, რომლის წევრიც თქვენ ბრძანდებით და რომელსაც პოლიტიკასთან დაახლოებით ის კავშირი აქვს, რაც მე „სტაროობრიადობასთან“.

მე, უბრალო ცოდვილს, არ უნდა მჭირდებოდეს თქვენთვის იმის შეხსენება, რომ მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს ცოდვილ კაცობრიობასა და მის ცოდვილ ნაწილს — საქართველოს. მე მჯერა წინასწარმეტყველების, მე მჯერა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და მჯერა იმ პატიოსანი კაცის, რომელიც ღმერთმა ესოდენ დიდებული ხილვის ღირსი გახადა... მე მწამს, რომ საქართველო გადარჩება და გაბრწყინდება კიდეც, მაგრამ ეს მაშინ მოხდება მხოლოდ, როდესაც ფარისევლობასა და ღმერთის დიადი სახელის წამდაუწუმ ხსენებას თავს გავანებებთ, კერპის ფეხებთან თავის რახუნს შევეშვებით და შინაგან ქრისტიანობას ავაღორძინებთ მივიწყებულ ნომოკანონთან ერთად.

ამპარტავანი კაცი გვესაუბრება, ბატონო არჩილ, ტელეეკრანიდან და შემოსილს, როგორც არავის, ამპარტავნება არ შეშვენის, რა მარგალიტებსაც არ უნდა აფრქვევდეს ბაგეთაგან. მე, პოლიტიკოსმა, არ უნდა შევახსენო კაცს, რომელსაც ღვთისმსახურებაზე აქვს პრეტენზია, რომ მთავრობები მოდიან და მიდიან, ხოლო სიმართლე სიმართლედ რჩება.

ღმერთმა ინებოს, რომ ამ წერილს თქვენს სულში არა ღვთის უარმყოფი მრისხანება გამოეწვიოს, არამედ სიყვარული და უნარი დიდი გაგებისა, რამეთუ მკაცრად ვსაუბრობ მაგრამ სიყვარულით. ღმერთმა ინებოს, რომ მალე კვლავ ისე მეწოდებინოს თქვენთვის, როგორც მრავალი წლის წინათ... მამაო არჩილ!

**გიორგი ჯანტურია**

12 მაისი, 1991 წ.

**რედაქციისაგან:** თუ ინებებს, მზად ვართ გამოვაქვეყნოთ მამა არჩილის პასუხიც. რაც შეეხება ბატონ ზვიად გამსახურდიას ეგზალტირებულ ქებას ზოგიერთი ჟურნალისტის მიერ, შევნიშნავთ, რომ ამაზე თვით ბატონმა პრეზიდენტმა უკვე გააკეთა საპროტესტო განცხადება პრესის საშუალებით.

# საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის განცხადება

**ათასწლეულების** მანძილზე ქართველმა ერმა უაღრესად თავისუფალი, მდიდარი სულიერი და მატერიალური კულტურა შექმნა, გამოიმუშავა თავისებური, სპეციფიური ცხოვრების წესი და მსოფლმხედველობა. ქართული ცივილიზაციის ნაყოფია ორიგინალური დამწერლობა, შესანიშნავი ლიტერატურა, ხალხური მუსიკა, ცეკვა, ფოლკლორი, მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიღწევები; მისივე შედეგია ჯანსაღი ინდივიდუალიზმი, პიროვნული ღირსების გრძნობა, ღრმა პატრიოტიზმი და ამავე დროს ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, ტოლერანტობა, ადამიანთა ურთიერთობის დახვეწილი ფორმები. ყოველივე ეს წარმოადგენს ქართველი ერის წვლილს საკაცობრიო ცივილიზაციის საგანძურში, მაგრამ ბოლო ორასი წლის მანძილზე უცხო ტომის არნახული პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ზემოქმედების შედეგად ამ ცივილიზაციის მაგისტრალური გეზი გამრუდდა, შენელდა, ფაქტობრივად შეჩერდა მისი განვითარება, რაც მორალურ, კულტურულ დეგრადაციას უქადის ქართველ ერს. სწორედ ამ ეროვნული კატასტროფის თავიდან აცილებას, ცივილიზაციის გამრუდებული გეზის გასწორებას, ჯერ კიდევ შემორჩენილი პოტენციალის ამოქმედებას და ყოველივე ამის მეშვეობით მსოფლიოს ერთა დიდ ოჯახში კუთვნილი ადგილის დაკავებას, მკაფიო ეროვნული სახის შენარჩუნებას უნდა შეუწყოს ხელი არა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებამ, არამედ მონარქიის აღდგენამ საქართველოში. სახელმწიფოებრიობის ტრადიციული ფორმის აღდგენა მძლავრ სტიმულს მისცემს ამ სტრუქტურების, ეთნოფსიქოლოგიის და მათი მეშვეობით, ეროვნული ზნეობისა და პიროვნული ღირსებების აღორძინებას. სახელმწიფოებრიობის ტრადიციული ფორმის აღდგენა საქართველოს საშუალებას მისცემს აღადგინოს აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციათა შორის შუამავლის ისტორიული ფუნქცია; საქართველოს შეეძლება აგრეთვე შეასრულოს კავკასიის რეგიონის შემაკავშირებლის როლი, რომელსაც იგი ისტორიულად და გეოგრაფიულად ყოველთვის ასრულებდა. დარწმუნებული ვართ, რომ არა პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკანონება, არამედ მონარქიის აღდგენა უთუოდ გაანელებს შიდაეთნიკურ დაძაბულობასაც, რისი საწინდარიც ისევ და ისევ ისტორიული გამოცდილებაა. არის კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ძალზედ მწვავედ დგას და რომლის მოგვარებაც მხოლოდ მეფის ინსტიტუტის რესტავრაციით არის შესაძლებელი: ესაა ხელისუფლების ავტორიტეტის საკითხი. საქმე ის გახლავთ, რომ უცხოელთა ორასწლოვანმა, მეტადრე კი სამოცდაათწლიანმა ბოლშევიკურმა მმართველობამ, ხელისუფლების ინსტიტუტების სრული დისკრედიტაცია გამოიწვია ხალხში და რეალური დამოუკიდებლობის შემდეგაც ძნელი იქნება დემოკრატიას უჩვევ საზოგადოებაში ხელისუფლებისადმი პატივისცემის ატმოსფეროს შექმნა, რის გარეშეც წარმოუდგენელია სახელმწიფოს ნორმალური არსებობა, და რამაც — უარეს შემთხვევაში ანარქია და ქაოსი, ხოლო უკეთეს შემთხვევაში — დიქტატურა შეიძლება გამოიწვიოს. მაგრამ თუ უზენაეს ხელისუფლად ხალხს მისი გმირი მეფეების შთამომავალი მოევლინება — პოლიტიკური თუ სოციალური კონიუნქტურისაგან დამოუკიდებელი მონარქი, იგი უსათუოდ იქცევა სტაბილურობისა და ერის შეკავშირების გარანტად და ამ ფუნქციას შემდეგშიც შეასრულებს.

სწორედ ზემოთჩამოთვლილი მიზეზებისა და ჩვენი შეხედულებების შედეგია, რომ ჩვენ, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მონარქიზმის იდეამ უკვე საკმაო პოპულარობა მოიპოვა ხალხში, მის მხარდამჭერთა სია ჯერ კიდევ არ შეადგენს უმრავლესობას და როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ქართველობა მაინც აირჩევს პრეზიდენტად ამა თუ იმ პირს. ამიტომ, ჩვენ როგორც საქართველოს შვილები და აგრეთვე, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია ვალდებული ვართ გავაცნოთ ერს ჩვენი დამოკიდებულება შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით.

დავიწყოთ იმით, რომ საქართველო ჯერაც დაპყრობილი და ანექსირებული ქვეყანაა 1991 წლის 9 აპრილს მიღებული დამოუკიდებლობის აქტი სულაც არ ავალებს საოკუპაციო ჯარს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დატოვებას. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ალმაშფოთებელი ფაქტი, რომელიც მოხდა გორში 14 მაისს. თავად აქტიც, ჩვენ ფარსად, ფარატინა ფურცლად და იმპერიის „პერესტროიკული“ პოლიტიკის ნაყოფად მიგვაჩნია. სხვას ვერაფერს მიაწერ იმ ფაქტს, რომ ამგვარი აქტები მიღებული აქვთ არა მარტო იმ რესპუბლიკებს, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, არამედ შუა აზიის ქვეყნებსაც, უფრო მეტიც, არცერთ რესპუბლიკაში არ აუგდიათ თავიანთი სახელმწიფო დოკუმენტები ხელისმომწერებს ისე აბუჩად, როგორც საქართველოში...

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ნებსით თუ უნებლიედ აწარმოებს დანაშაულებრივ პოლიტიკას თავის ქვეყანაში. ოპოზიციას ხშირად უკიჟინებენ — „აცალეთ, ბატონო, და ყველაფერს გააკეთებენო“, მაგრამ იმ შვიდი თვის განმავლობაში, რაც ეს ხელისუფლება ფუნქციონირებს, ჩვენ ფაქტობრივად დავკარგეთ სამაჩაბლო, არ ცხრებულობს დაძაბულობა აფხაზეთსა და ჯავახეთში; ისიც მოვახერხეთ, რომ აჭარაც ავალაპარაკეთ. არა, ბატონებო! კიდევ რომ ვაცალოთ, საქართველო იმ რუკიდანაც გაქრება, რომელზეც დღესაა აღნიშნული.

ოპონენტები ასეთ დროს ხშირად კრემლისკენ მიგვითითებენ — „მათი პროვოცირებულიაო ეს ყველაფერი“. გეთანხმებით, მაგრამ განა 1989 წლის მარტ-აპრილშიც არ იყო ამის მცდელობა აფხაზეთთან მიმართებაში?! როგორ მოახერხა მაშინ ქართველობამ მოახლოებული ეთნოკონფლიქტიდან თავის დაღწევა? თუ მაშინ ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებს ეყოთ სიბრძნე სხვა მიმართულებით წარემართათ დაძაბულობა, მით უფრო არ მოეთხოვება ეს სიბრძნე „მრავალპარტიულ“ ხელისუფლებას? მაგრამ საქართველოს მმართველი აპარატი ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით უფრო შორს მიდის — სწორედ ის აღვივებს თავისი პოპულისტური პოლიტიკით ერში ნაციონალისტურ ფსიქოზს. ამის დადასტურებაა ის, რომ მთელ რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა წარმოება-დაწესებულებებში კადრების შერჩევა და გადარჩევა ეროვნული ნიშნით.

დღეს საქართველოში 70-ზე მეტი პოლიტპატიმარია. დიდად საეჭვოა, ამაზე მეტი პოლიტპატიმარი იყოს დღეს მთელ საბჭოთა იმპერიაში, მიმდინარეობს ოპოზიციური აზრის დევნა, პარტიების ყოველგვარი შევიწროება, პოლიტიკური ტერორი. უსინდისოდაა მონოპოლიზირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას მეხოტბეთა პაექრობის არენადაა ქცეული, ხოლო თუ შემთხვევით გაიპარა მათში განსხვავებული აზრი, მას აუცილებლად ახლავს ან „რედაქციის მინაწერი“ ან ტელევიზიის დიქტორის „კომენტარი“, თითქოს ერს თავად არ შეუძლია განსაზღვროს რომელი აზრია სწორი და რომელი მცდარი.

ჩვენს მიერ მოყვანილი ეს მცირეოდენი არგუმენტებიც კი ცხადყოფენ, რომ რესპუბლიკაში გამეფებულია დიქტატი და სრული განუკითხაობა. ამას კარგად ხედავს მსოფლიო და სათანადოდაც აფასებს შექმნილ სიტუაციას. დასავლეთის ქვეყნებისათვის ნამდვილად არაა სულერთი, დემოკრატია გაიმარჯვებს ჩვენში თუ დიქტატურა, ამიტომაცაა, რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა საზღვარგარეთული ვოიაჟების დროს არც ერთი მათგანი არ შეხვედრია ოფიციალურ დონეზე რომელიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მოქმედ პოლიტიკოსს; და ეს ხდება არა სსრკ-ს შიშითა თუ ხათრით (საილუსტრაციოდ გაიხსენეთ კაზიმირა პრუნსკიენეს ვიზიტი აშშ-ში), არამედ მათი ანტიპათიური დამოკიდებულების გამო ქართველ ხელისუფალთა მიერ წარმოებული პოლიტიკის მიმართ. მსგავსი სურათია დასავლეთის დემოკრატიულ პრესაშიც. მაგალითად, „შტუდგარტენ ცაიტუნგი“ 1991 წლის 26 მარტს სტატიაში „საბჭოთა კავშირი — შოვინიზმი საქართველოში“ წერს — „...ზვიად გამსახურდია არა მარტო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეა, არამედ საქართველოს რესპუბლიკის განუსაზღვრელი ბატონი. ბევრი შიშობს, რომ იგი მომავალი დიქტატორი იქნება.... ის მრავალთა შორის არ არის ერთადერთი ეროვნული ლიდერი, რომელიც რესპუბლიკის სუვერენიტეტისათვის იბრძვის, არამედ, იგი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ძალაუფლებისთვის მებრძოლია მრავალი მის თანამემამულეთაგან, რომლებიც სხვადასხვა ერის ხალხთან ერთად ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...იწაზე ძმურად ცხოვრობდნენ და ...რომობდნენ, მათ შორის ინტელიგენციას, „მოღალატეებად“ და იმ ...ლად თვლის, რომლებსაც „მოს...ოვი მართავს“. ეროვნულ კონგრესში გაერთიანებული მისი კონკურენტი პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებს თვლის „კრემლის“ და „კაგებეს აგენტებად“ და მა...ვიოზებადაც კი... ეს საკმაოდ განათლებული, წარმოსადეგი კაცი, რომლის ელეგანტურობა უცხოზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, დაუნდობელია თავის თანამემამულეთა მიმართაც...“. 1991 წლის 16 აპრილის „ბალთიმორ სანის“ ნომერში ვკითხულობთ: „... ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური იდეები და ფაქტიკა მეტყველებენ მის ულტრა-ნაციონალისტობასა და ტირანიაზე... საქართველოში დამოუკიდებლობა არ არის, ხოლო მისმა ...ალმა მეთაურმა ზვიად გამსახურდიამ ყველაფერი ილონა რესპუბლიკაში ახალი ლიბანის შესაქმნელად...“. მსგავსი მასალა მრავლად იბეჭდება უცხოურ პრესაში: „ფი...ადელფია ინქვაიხერერი“ 1991 წლის 26 მარტი, ჟურნალი „ტაიმ“, 1991 წლის მარტი, აპრილი, და სხვ.

დღეს საქართველო რეალური სა...შროების წინაშე დგას. ჩვენ უკვე ...ყავს დიქტატორი — ზვიად გამ...ხურდია, მაგრამ მისი პოზიცია ...რჯერობით არ არის მყარი, რადგან იგი მისი მარიონეტი უზენაესი საბჭოს მიერაა დანიშნული. ამ ...ზიციის გამაგრებას ერის ნდობის ...დატი ესაჭიროება, ე. ი. იგი ხა...მა უნდა აირჩიოს პირდაპირი არჩევნების გზით. თუ ამ უბედურებასაც მოვესწარით 26 მაისს, მა...ნ ჩვენ საბოლოოდ შეგვაქცევს ...რგს დემოკრატიული სამყარო და ...ეთ ვითარებაში საქართველოს ...ოლოდ ერთი ალტერნატივა დარ...ება — ან სრული პოლიტიკური ...ოლაცია, ან რუსეთის სატელი...ობა.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ საქართველოს ხელისუფლება ნებსით ...უნებლიედ, აწარმოებს დანაშა...ლებრივ პოლიტიკას. თუ ეს შეც...მები უნებლიეა, მაშინ ყველა ...ონსანი, თავისი ქვეყნისა და ხა...ის მოყვარული პოლიტიკოსის ...ლია, გადადგეს და სხვას დაუთ...ს პოლიტიკური ასპარეზი, რის...ც ჩვენ საქართველოს მონარ...ტული (კონსერვატიული) პარტია ...უწოდებთ დღევანდელ ხელისუ...ებას, ხოლო თუ ყველა მოვ...ბა წინასწარი განზრახვით გან...ციელდა, მაშინ ხალხის ვალია, ...ად მოიშოროს ეს დანაშაულე...ვი კლანი და მხარი დაუჭიროს ...მოკრატიას, თავისუფლებას, ზნე...ბას. მოგიწოდებთ, დაფიქრდეთ, ...კიდევ არის ამის დრო, რად...თქვენს ხელთაა — საქართველოს, დემოკრატიის, პიროვნული ...ეროვნული თავისუფლების ბე...

...დიდება უფალს!

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია

**რედაქციის მინაწერი:** მარ...ლია, რედაქციის მინაწერები, ამ ...ცხადების ტექსტის ავტორებს, ...ოგორც ჩანს, აღიზიანებთ, მაგრამ, ...ნც, გვინდა თავაზიანად შევნიშ...თ: ოპოზიციურ პარტიას, ჩვენ...ს დიახაც პატივსაცემ მონარ...ტებს, თუ ზვიად გამსახურდია ...მოსწონთ, ამის გაგება შეიძლე...; პრეზიდენტის პოლიტიკის კრი...ც შეიძლება, მაგრამ არ შეი...ება საქართველოს თავკაცისად... უარყოფით დამოკიდებულებას ...ლა ის საქმე გადავაყოლოთ, ...ეროვნულ მოძრაობას დღემდე ...თებია.

...ს სიტყვები ბევრს ეხება, როგ...ც რადიკალ-ოპოზიციონერებს ...ე. წ. ზომიერებს.

...ონარქისტული პარტიის განცხადებიდან კი მხოლოდ ორ ფაქტზე ...ვამახვილებთ მკითხველის ყურადღ...ბას. მართალია, ჩვენ ჟურნალისტები ვართ და არა პოლიტიკოსები და ასეთ საკითხებში ჭკუა იქნებ ...ლებად მოგვეკითხება, მაგრამ ...გებარია, რატომ თვლიან 1991 ...ს 9 აპრილის დიდმნიშვნელოვან აქტს ფარატინა ქაღალდად? ან ...ხათქმელია ის, თითქოს საქართველოში კადრების შერჩევა და არჩევა ეროვნული ნიშნით ხდე...ა, ...ეთი და სხვა არასწორი ...ადებები საქართველოსთვის ს...ნოს და უცხო ქვეყნების პრე... შემთხვევით არ იტაცებს ამ...არ ინფორმაციებს.

## ნოდარ ნათაძე

# ორი ფრაგმენტი

...ბანა ადამიანი მხოლოდ იმით გრძნობს თავის კავშირს წუთისოფელთან, რომ იგი ფიზიკურად არსებობს, ჭამს, სვამს, მზეს შეჰყურებს? ცხადია, არა! ადამიანი თავის კავშირს გარესამყაროსთან იმაშიც გრძნობს, რომ ამქვეყნად მას ღირებულებები გააჩნია: არის საგნები და მოვლენები, რომლებისკენაც ადამიანი მიისწრაფვის თავისი ცხოვრების მანძილზე და რომლებიც მას იმდენად უღირს, რომ ზოგჯერ მათ თავის ფიზიკურ არსებობაზე მაღლაც კი აყენებს, მათთვის თავს სწირავს (ვთქვათ, თავისი ოჯახისათვის, თავისი სამშობლოსათვის). მაგრამ წავიდეთ ამაზე კიდევ უფრო შორს. ოჯახიც, სამშობლოც, მეგობრებიც, თუნდ კაცობრიობა მის მთლიანობაში აღებული — ეს ყველაფერი რაღაცნაირად დაკავშირებულია მოცემულ პიროვნებასთან, რომელიც ამ ოჯახის, ამ ერის, ამ კაცობრიობის ნაწილია. ადამიანს კი აქვს თვისება, რომ ისეთი რამეებიც „უღირდეს“, რასაც მის პიროვნებასთან არც პირდაპირი, არც შუალობითი, კავშირი არა აქვს. ყოველი ადამიანისათვის არსებობს „კარგი“ და „ცუდი“, არსებობს ისეთი რამ, რაც „თავისთავად კარგია“ და ისეთი რამ, რაც „თავისთავად ცუდია“, საძრახისი, არმოსაწონია. ადამიანი ძალიან ძნელად შეურიგდება იმ აზრს, რომ ის, რაც მისი თვალსაზრისით „კარგი“ და „ცუდია“, სინამდვილეში, თავისთავად აღებული, არც კარგია და არც ცუდი, რომ მის მიერ გარჩევა „კარგისა“ და „ავისა“ შეფარდებითია, რომ მას, როგორც ინდივიდს, „კარგისა“ და „ავის“ გარჩევის სრულებით ურყევი, უცილობელი, „აბსოლუტური“ საზომები არა აქვს. გარდა ამისა, ფაქტია, რომ ადამიანი თავის პრაქტიკაში ძალიან ხშირად ხედავს იმის დამარცხებას, რასაც იგი „კეთილს“ უწოდებს და იმის გამარჯვებას, რასაც იგი „ბოროტად“ თვლის. ცხადია, ადამიანი მორალური არსებაა და ასეთ ვითარებასთან შერიგება მას უმძიმს. ადამიანს ისიც კი არ დააკმაყოფილებს, თუ აღიარა რომ ხან სიკეთე იმარჯვებს, ხან ბოროტება, ან რომ ამქვეყნად ბოროტება გამარჯვებულია, იმქვეყნად კი სიკეთე რევანშს იღებს. ადამიანს აქვს მოთხოვნილება, რომ სიკეთის ძალა და მისი ბატონობა შეფარდებითი და ნაწილობრივი კი არა, სრული იყოს.

ზოგადად რომ ვთქვათ, ადამიანი სასრული, ბოლოვადი არსებაა თავისი ფიზიკური ბუნებითაც, თავისი შესაძლებლობებითაც და თავისი წარმოდგენებითაც, მაგრამ იგი ისეთი არსებაა, რომელსაც თანდაყოლილი მოთხოვნილება აქვს, რომ ამ ბოლოვადობის ფარგლებს გასცდეს. ადამიანი სასრული, მაგრამ უსასრულობაზე, აბსოლუტურზე ორიენტირებული არსებაა. აქედან კი გასაგები ხდება რელიგიის არსებობის ფაქტი... მართლაც, თუ არსებობს საუკუნო ცხოვრება, მაშინ ადამიანის ინდივიდუალობა მისი „მე“ ბოლოვადი აღარ ყოფილა; თუ არსებობს ყოვლისშემძლე და აბსოლუტური ძალა — ღმერთი, — და ეს აბსოლუტური ძალა არც ბოროტია და არც სიკეთე — ბოროტებისადმი ნეიტრალური, გულგრილი, არამედ კეთილია, მაშინ მთელი სამყარო, რომელიც ღმერთმა შექმნა და რომელსაც იგი მართავს ანუ „განაგებს“, თავის საფუძველში კეთილი ყოფილა და ახსნელი ისღა გვრჩება, თუ რატომაა, რა მიზნითაა, რომ ღმერთი ამ „კეთილ“ სამყაროში ზოგჯერ ბოროტების გამარჯვებასაც უშვებს. თუ ღმერთი ანუ აბსოლუტური სიკეთე არსებობს, მაშინ ჩემი ღირებულებებიც (ჩემი „კეთილი“ და „ბოროტი“) ჩემი სუსტი, ბოლოვადი გონების ილუზიები კი არ ყოფილა, არამედ აბსოლუტურად მყარი საზომები...

წიგნიდან „მითი და სინამდვილე“, თბ; 1978 წ.

...მე არ ვიცი, შევძლებ თუ არა მართლაც რაღაც კვალი დავაჩნიო სამყაროს ჩემი იმ მოქმედებით, რომელიც მიმართულია კაცობრიობის როლის ამაღლებისაკენ. არ ვიცი, თუნდაც, იმიტომ, რომ არა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ხვალ ან მილიონი წლის შემდეგ კაცობრიობა კოსმიურ კატასტროფაში არ დაიღუპება. მაგრამ, სამაგიეროდ, მე დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემი ყველა სხვა მოქმედება, გარდა იმისა, რომელიც მიმართულია ადამიანის ამ როლის ამაღლებისაკენ, უკვალოდ ჩაივლის. მართლაც, თუ ჩემი დამანგრეველი მოქმედებით მე ვერ შევაჩერე კაცობრიობის თავისუფლების ზრდა ბუნებასთან მიმართებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემმა მოქმედებამ ადამიანისა და გარესამყაროს დამოკიდებულებას კვალი არ დააჩნია. ხოლო თუ მე ჩემი დამანგრეველი მოქმედებით შევძელი კაცობრიობის პროგრესის შეჩერება, ან, სულაც მოვსპე იგი, ესეც წრეში ტრიალი იქნება, ნგრევა არასოდეს არ იძლევა ნამდვილ უკვდავებას, რომელსაც ადამიანის ყველაზე ღრმა ინსტინქტი მოითხოვს. მას იძლევა მხოლოდ შენება. რიგითი ადამიანი, რომელმაც ჰეროსტრატეს სიცოცხლეში ერთი ჯამირი მინდორი მოხნა, უფრო „უკვდავია“ თავისი სახელის არარსებობის მიუხედავად, ვიდრე ჰეროსტრატე, რომელმაც თავისი სახელი შემოგვინახა, მაგრამ ვერ მოახერხა თავისი ნამოქმედარი ალგვისაგან დაეცვა.

თუ ჰეროსტრატე მაინც დარჩა კაცობრიობის ისტორიაში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამ უცნაური ექსპერიმენტის ავტორია. ძეგლები ბევრ ბარბაროსს მოუსპია, მაგრამ მათი სახელებით არავინ დაინტერესებულა...

...ზემოთქმულიდან გამოდის, რომ ადამიანი იმიტომ იქცევა და იმიტომ უნდა მოიქცეს მორალურად, იმიტომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვა ადამიანებს და კაცობრიობას საერთოდ, რომ ეს მისი, როგორც ადამიანის, მოწოდებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეილახება მისი ადამიანური ღირსება, იგი არათავისუფალი და არაგონიერი არსების დონემდე დავა. მისი ცხოვრება ფუჭი იქნება და ა. შ. ეს ყველაფერი სავსებით სწორია. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანს სხვა ადამიანისადმი ანგარიშის გაწევას აიძულებს არა მხოლოდ თავისი დანიშნულების შესრულების სურვილი, არა კაცობრიობის, როგორც მთელის ინტერესები, არა მორალური ვალი, როგორც მას იგი ესმის, არამედ აგრეთვე მარტივი და უშუალო სიკეთის გრძნობა, რომელიც მას აიძულებს სხვა ადამიანისადმი მსხვერპლი გაიღოს — და, ზოგჯერ, ისეთი მსხვერპლიც, როდესაც ამ მეორე ადამიანს პირველი ადამიანის მოწოდება ეწირება. როდესაც მე თავს ვდებ სამშობლოსათვის ან კაცობრიობისათვის, ან რაღაცა მორალური პრინციპისათვის, ამით მე ჩემს ადამიანურ დანიშნულებას ვასრულებ და ეს ჩემი მსხვერპლი, უმრავლეს შემთხვევაში, აშკარაა ჩემთვისაც და სხვებისთვისაც. მაგრამ თუ მე ბუნებით მოწოდებული ვარ, რომ ვიყო დიდი კოსმონავტი ან მთამსვლელი, ან რევოლუციონერი, ან სხვა რაიმე ძნელი საქმის მოღვაწე, მაგრამ ეს ჩემი მოწოდება [illegible] იმიტომ, რომ შინ მყავს ხეიბარი პატარა და, რომელსაც უჩემოდ ერთი დღის გაძლება არ შეუძლია. ამით მე გავიღე მსხვერპლი, რომელიც არც სხვისთვის ჩანს და არც თვითონ ჩემთვის, რადგან მე ვერ მეცოდინება წინასწარ, მართლა მთამსვლელობისთვის ან კოსმონავტობისთვის ვარ მოწოდებული ჩემი ძალისა და სიმტკიცის წყალობით, თუ ეს მხოლოდ მეჩვენება. ამ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მე ვასრულებ ჩემს მოწოდებას კაცობრიობის ან ჩემი თავის მიმართ ვალის მოხდის გზით. აქ მე მხოლოდ იმას ვაკეთებ, რომ ტვირთს ვუმსუბუქებ ჩემს ახლობელს, რომელიც ბუნებისაგან დაიჩაგრა და ამგვარად მისი უბედურების ნაწილს ჩემს თავზე ვიღებ. მიუხედავად ამისა, ჩემს მოქმედებას ვერავინ გაამტყუნებს და უფრო აშკარასა და თვალშისაცემ მორალურ ღვაწლზე დაბლა ვერ დააყენებს.

ყოველ ადამიანს აქვს ბუნებისაგან მიცემული პატივმოყვარეობა და სწრაფვა პირველობისადმი. ყველა ადამიანს სურს, რაღაცაში პირველი იყოს, თუ თავის თანამედროვეებში არა, თავის პატარა წრეში მაინც. ზოგი ამას მეცნიერების სფეროში ცდილობს, ზოგი სპორტში, ზოგი სილამაზეში, ზოგი ოხუნჯობაში და ა. შ. მაგრამ ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ამგვარი პირველობა ძალიან ძნელია. ნათქვამია „მჯობს მჯობი არ დაელევაო“ და, მართლაც, ადამიანს ვერასოდეს ექნება გარანტია, რომ ხვალ მისსავე ვიწრო კოლექტივში სხვა არ გამოჩნდება, რომელიც მას უკან ჩამოიტოვებს. ერთადერთი სფერო ადამიანის შეჯიბრებული მოქმედებისა, სადაც ადამიანი — თუკი იგი მართლაც მოწოდების სიმაღლეზეა — ვერავინ უკან ვერ ჩამოიტოვებს, არის ზნეობა. მე თუ ყოველთვის იმის მაქსიმუმს ვაკეთებ, ამას სინდისის ხმა უსათუოდ დამიდასტურებს — მაშინ მე სრული გარანტია მაქვს იმისა, რომ ადამიანის ღირსების ამ ყველაზე [illegible] მაჩვენებლით არასოდეს არავიზე უკან არ ვიქნები. მართალია, მე არც წინ ვიქნები იმათზე, ვინც ასევე მორალურად იქცევა. ხატოვნად რომ ვთქვათ, თუ მსოფლიოში მილიონი ასეთი ადამიანი ცხოვრობს, მე მათთან გავინაწილებ ადგილებს პირველიდან მემილიონემდე ადამიანური ღირსების ამ კონკურსში. მაგრამ ეს კმარა, რომ ჩემი თავმოყვარეობა და ღირსების გრძნობა შეულახავი დარჩეს და მე გადავურჩე იმ სულიერ ტკივილს, რომელსაც ადამიანს ჩამორჩენა აყენებს.

წიგნიდან „შენ და სხვები“. თბ. 1979 წ.

# პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე უთქვამთ...

## ვისურვებდით საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულს ამ პრინციპებით ეხელმძღვანელოს.

პოლიტიკოსი ვერ იქნები, თუ მოთმინება არ გაგაჩნია და რისხვის დაოკების უნარი არ გაქვს.

სტენდალი

ნამდვილ სახელმწიფო მოღვაწეთა განმასხვავებელი თვისება ის არის, რომ უნარი აქონდეს ისარგებლოს ყოველი აუცილებლობით, ხოლო ზოგჯერ გარემოებათა საბედისწერო დამთხვევა სახელმწიფო საკეთილდღეოდ შეაბრუნოს.

ვ. ჰიუგო

ვისაც არ უყვარს თავისუფლება და ჭეშმარიტება, შეიძლება იყოს ძლევამოსილი, მაგრამ ვერასოდეს ვერ იქნება დიდი ადამიანი.

ვოლტერი

პოლიტიკოსის საქმეებში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მოტივებს.

[illegible]

ჰქმენ დიდი, მაგრამ ხელს ნუ დაპირდები დიდს.

პითაგორა

ცრუ სიდიადე მიუკარებელია, რადგან გრძნობს, რომ სუსტია. ამიტომ იმალება. ასეთ უკიდურეს შემთხვევაში თავის [illegible] არ გამოჩენის, თავს იჩენს იმ [illegible] ლიუნიქს, რომლისთავ [illegible] საჭიროა, რომ მოაშორებულება მოსალოდნელი [illegible] არ გამომჟღავნოს.

ჟ. ლაბრიუიერი

თავისუფლება ნიშნავს დამოკიდებული იყო მხოლოდ კანონების უზენაესობაზე.

ვ. ვოლფი

მოქალაქისათვის პოლიტიკური თავისუფლება არის სულიერი სიმშვიდე, დაფუძნებული საკუთარი უშიშროების რწმენაზე.

შ. მონტესკიე

არ არსებობს კაცი, თავისუფლება რომ არ უყვარდეს, მაგრამ სამართლიანი ადამიანი მას ყველასათვის ითხოვს, უსამართლო — მხოლოდ თავისთვის.

ლ. ბერნე

ყველა ტირანს, რომელიც კი ოდესმე ბატონობდა, აგრეთვე უყვარდა თავისუფლება — საკუთარი თავისუფლება.

ე. ჰაბარდი

დიდი ადამიანისაგან, ჩვენ უპირველეს ყოვლისა, [illegible] რიტების სიყვარულს მოვითხოვთ.

გოეთე

სადაც მთავრდება კანონები, იქ იწყება ტირანია.

უ. პიტი

ყველაზე საშინელი ტირანია ისაა, რომელიც კანონიერების საფარველით და სამართლიანობის დროშით გამოდის.

შ. მონტესკიე

ყოველ უპრინციპო საქმიანობას გაკოტრებამდე მივყავართ.

გოეთე

ჩვენი პატივისცემის იმსახურებს ის, ვინც ადამიანთა გონებაზე ბატონობს სიმართლის ძალით, და არა ის, ვინც ძალმომრეობით მონებად აქცევს.

ვოლტერი

ვაი მაშინ მას, თუ ჩემი მრწამსის რყევას დაიწყებს ჩემი მაჯისცემის მიხედვით.

ფ. შილერი

...მმართველი [illegible] არ უნდა იყოს, დიდად უნდა [illegible] და არ უნდა [illegible] იმას, რომ [illegible] სიფრთხილით [illegible] და ადამიანურობით [illegible] თავდაჯერებულ [illegible], რათა [illegible] სიფრთხილე არ დაავიწყოს, ხოლო მეტისმეტი [illegible] შეიძლება [illegible] მათთვის.

ნიკოლო მაკიაველი

რაც ხელისუფლება ჩააბარო, ნუ [illegible] თანამდებობებზე ცბიერ ადამიანებს, თორემ ცოდვებში დაგბრალდება, როგორც უფროსს.

სოლონი

რაც უფრო ნაკლებად არიან ღირსნი ცუდი მოქალაქენი იმ საპატიო თანამდებობისა, რომელიც მათ მიუღიათ, მით უფრო დაუდევრობენ ისინი და სისულელეებსა და თავხედობას სჩადიან.

დემოკრიტე

დიდი თანამდებობა გამორჩეულ ადამიანებს კიდევ უფრო გამოარჩევს, წვრილმან ადამიანებს კი კიდევ [illegible] წვრილმანებს.

ჟ. ლაბრიუიერი

მაღალი თანამდებობა მაღლ [illegible] მაღალ გონებას...

ლ. ფოიერბახი

არსებობს ოქროს წესი — პოლიტიკოსები განსაჯო არა მათი აზრებით, არამედ იმით, თუ რა შედეგი მოაქვს ამ აზრებს.

ა. [illegible]

# პიროვნება, ბედისწერა, ძალაუფლება

ირაკლი ბათიაშვილი

არ არსებობს პოლიტიკა ძალაუფლების ინსტინქტის გარეშე. უფრო მეტიც, წარმოუდგენელია ყოველდღიური ცხოვრება ამ ინსტინქტის გარეშე. ცუდი აქ თავისთავად არაფერია, რადგან ძალაუფლების მოთხოვნილება ღვთისგან ნაბოძები მძლავრი სტიმულია ადამიანისათვის, და ეს სტიმული მას შეუძლია თავისთვის და საზოგადო საქმისთვის სასიკეთოდ მოიხმაროს, მაგრამ ჩვენთვის კარგად ნაცნობია ისეთი მოვლენაც, როდესაც აღნიშნული მოთხოვნილება თვითმიზნურად წარმმართველი ხდება ინდივიდის სიცოცხლისა; ან კიდევ, როდესაც იგი ეპიდემიასავით აიტანს მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასაც კი, რომელიც ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ასეთი მოვლენა იშვიათობას არ წარმოადგენს. პირიქით, იგი ძალუმად ჰკრობს ისტორიაში და იმდენადაც კი, რომ არაერთი მოაზროვნის წინაშე წამოჭრილა ბუნებრივი კითხვა: ხომ არ არის საერთოდ ადამიანური ისტორია ძალაუფლების ინსტინქტთა ორომტრიალის ასპარეზი? მე თავად შორს ვარ დადებითი პასუხისაგან, მაგრამ ასეთი კითხვის წარმოშობაც სრულებით არ მაკვირვებს. ამგვარად, მოდით ყურადღება მივმართოთ სწორედ აღნიშნულ მოვლენაზე: ადამიანური ყოფიერება, რომელიც საბედისწეროდ შეპყრობილია ძალაუფლების ნებით; და ნურავის ექნება ზერელე დამოკიდებულება მის მიმართ, რამეთუ ეს ფენომენი ზედაპირული შემეცნების საგანი არ არის. იგი საერთოდ არაა ზედაპირული ბუნების, არამედ თავისი ფესვებით ყოფიერების ერთობ იდუმალ სიღრმემდე ჩადის. მე მსურს რამდენადმე ჩავუკვირდეთ ამ ფენომენს და შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ მისი ცალკეული საგულისხმო დეტალები.

ძველი ცნობების თანახმად შოტლანდიის სარდალს — მაკბეტს — სამი გრძნეული გამეფებას უწინასწარმეტყველებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც სარდალი ბრძოლის ველზე ეს-ესაა გამარჯვებას ზეიმობს თავისი მეფის მტრებსა და მოღალატეებზე. ერთგული ქვეშევრდომის გმირობით მადლიერი მეფე მას ახალი წოდებით აჯილდოებს და პატივისცემის ნიშნად საკუთარი ამალით მასთან სასახლეში სტუმრად მიემგზავრება. მაკბეტის გულში კი ვერაგული გეგმაა დაბუდებული: უმძიმეს დანაშაულზე — მეფის მკვლელობაზე — წასვლის გზით მას გრძნეულთა წინასწარმეტყველების ახდენა სწადია. ეს არის მისი სანუკვარი სურვილი და ამავე დროს ბედისწერაც, რომელიც მას ავსულებმა ჯადოსნურად განუჩინეს. მაკბეტმა მიიღო ბედისწერა: გულის სიღრმიდან უთხრა „ჰო“, კმაყოფილებით დაეთანხმა მჩხიბავთა განაჩენს და იგი უმალ აღმოჩნდა სისხლხორცეულად შეკავშირებული ზებუნებრივ დემონურ ძალებთან. მე ვიხსენებ ჟამთააღმწერლის ქრონიკებზე დამყარებულ შექსპირის პიესას — „მაკბეტს“. ალბათ მართებულად მას ვუწოდებდი ძალაუფლების ავადმყოფობის ისტორიას — სიღრმიდან განჭვრეტილ, გამობურცულად წარმოჩენილ ცოცხალ ისტორიას. ვინ არის მაკბეტი? ვინ არის ეს დაავადებული ადამიანი? შეუპოვარი, გამჭრიახი, ძალებით აღსავსე... მისი გულის სიღრმეში ამოხეთქავს ავთვისებიანი ღივი მანიაკალური წადილისა, რომელიც შემდგომ და შემდგომ მეტასტაზებად მოედება მთელ მის არსებას; თავით ფეხებამდე იპყრობს და ატყვევებს, უშთობს, უხუთავს სულს და გონებას, შეუნელებლად მიაქანებს დანაშაულიდან დანაშაულისაკენ: მეფის მკვლელობას მოსდევს ახალი და ახალი; ყოველმა ახალმა მკვლელობამ მას თითქოსდა სიმშვიდე უნდა მოჰგვაროს, თითქოსდა კიდევ ერთი საფრთხით გამოწვეული შფოთვისაგან უნდა გაანთავისუფლოს, მაგრამ პირიქით: ცოდვები აჩრდილთა სახით უკან უბრუნდებიან, მის გვერდით მეზობლობენ, არ სცილდებიან. მაკბეტი განწირული ადამიანია: მისი წადილი ძალაუფლებისა არის არაცნობიერი შეუჩერებელი სწრაფვა თვითგანადგურებისაკენ.

როდესაც ადამიანი მოქცეულია ძალაუფლების იდეა-ფიქსის მაგნეტური ველის ტყვეობაში, რომელიც მაგიური მანქანებით წარმართავს მის ფიქრებს, სურვილებს, მოქმედებებს; რომლის ირგვლივაც ისინი მოჯადოებულნი ტრიალებენ, როგორც ერთი წერტილის ირგვლივ, ეს ნიშნავს, რომ ინდივიდის სულში შემოჭრილია არაბუნებრივი დემონური საწყისი და იგი ბობოქრობს, მძლავრობს თავად ადამიანზე, უფრო ზუსტად კი — ადამიანურ ბუნებაზე ადამიანში. თავისუფლებადაკარგული არსებაა ასეთი ადამიანი. საკუთარი ნების არმქონე და „მე“ — წართმეული არსებაა იგი. რაღაც არაბუნებრივი ძალა, როგორც უცხო ორგანიზმი ჩასახლებულა მასში, დაჰპატრონებია მის სულსა და გონებას, თანდათანობით შთაუნთქია მისი ნება და „მე“, თავი გაუსაღებია ამ უკანასკნელებად და მსხვერპლადქცეულ ადამიანსაც გულუბრყვილოდ ეჩვენება, თითქოსდა იგი თავის მოქმედებებსა და არჩევანში საკუთარი „მე“-თი და ნებით სულდგმულობს, თითქოსდა იგი თავის-თავის უფალია. სწორედ ეს არის უდიდესი ცდუნება და ილუზია! სწორედ ამაშია ეშმაკის საოცარი ფანდი! მართლაცდა, გარეგნულად ისე სჩანს, რომ ძალაუფლებისაკენ ჯიქურ მიმავალი ინდივიდი მძლავრად ამტკიცებს თავის „მე“-ს, მაქსიმალურად ამჟღავნებს ნებას და თავისუფლებას, მაგრამ... მაკბეტმა მჩხიბავთა მიერ დაწესებული ბედისწერისადმი მორჩილება ამჯობინა თავისუფლებას. მან ადამიანური ბუნება ძალაუფლების დემონურ იდეაში გაცვალა. და იგი პასუხისმგებელია თავის მოქმედებებზე, თანაც ეს პასუხისმგებლობა უდიდესია. მან ხომ საკუთარი შინაგანი თანხმობით მიიღო ეს ბედისწერა; მას ხომ გზა არ გადაუკეტია, წინააღმდეგობა არ გაუწევია მის სულში შემოჭრილი დემონური ძალებისათვის, უფრო მეტიც, სიამისმომგვრელი გულისძგერით შეხვდა გრძნეულთა წინასწარმეტყველებას. დიახ, ადამიანი ისევ და ისევ თავისი ნებით ჰკარგავს ამ თავისუფალ ნებას, როდესაც სულის კარებს უღებს დემონურ საწყისს და ე. ი. ისევ და ისევ თავის ნებით ხდება იგი, საბოლოო ჯამში, შეურაცხადი. სწორედ ამიტომ ვერ მოეხსნება მას პასუხისმგებლობა და უფრო მეტიც, მისი პასუხისმგებლობა, ვიმეორებ, უდიდესია.

მაკბეტს ჰყავს ერთი ადამიანი — თავისი მრუმე საქმეების თანამონაწილე და ერთგული მესაიდუმლე. ეს არის მისი მეუღლე — ლედი მაკბეტი. — შენ გახდები ის, რაც გიწინასწარმეტყველეს და მაინც ვშიშობ, რომ ვერ აირჩევ უმოკლეს გზას უბოროტო ბუნების გამო — ამბობს იგი ქმრის მისამართით — იჩქარე აქეთ. ჩემს სულს შთაგიღვრი ყურებში და ენით აღვგვი დაბრკოლებებს გვირგვინისკენ მიმავალ შენს გზაზე. — ჩამირაზეთ შესასვლელი სიბრალულისათვის — გრძნობამორეული შესთხოვს იგი სიკვდილის სულებს — რათა სინანულის ხმით ბუნებამ ჩემი გამბედაობა არ შეარყიოს! ხედავს რა თავისივე მუხანათური ჩანაფიქრისაგან დაზაფრულ ქმრის სახეს, ხალისიანად შთააგონებს: სახით ჩამოჰგავხარ საშინელ წიგნს, ხოლო წიგნის წაკითხვა ადვილია. შენ ყველა უნდა მოატყუო — თავაზიანობა მიანიჰო საკუთარ მზერას, ჟესტებს, მეტყველებას; უნდა გამოიყურებოდე უმანკო ყვავილად, სინამდვილეში კი იყო გველი, დამალული ყვავილებს ქვევით. მაკბეტი ადამიანია — იგი შიშობს, ყოყმანობს, სწუხს, სინდისი ქენჯნის... მართალია, მას სულ უფრო და უფრო იპყრობს ძალაუფლების ავადმყოფური წყურვილი, მაგრამ როგორც სწორედ ადამიანი, მტკივნეულად განიცდის ამ პროცესს: დიდი ტკივილებით — ეჭვებით, შიშებით, სინანულით — გზას იკვალავს მის არსებაში ეს დემონური ნება. რაც შეეხება ლედი მაკბეტს, მასზე ალბათ ძნელად ითქმის „ადამიანი“. ჯიქური, უკანმოუხედავი, სულში ჩამწვდომი ნებით უბიძგებს იგი მეუღლეს ბოროტებისაკენ. დიახ, ეს ქალი ერთადერთი ჭეშმარიტად ძალის მომნიჭებელი წყაროა მაკბეტისათვის, საიდანაც იგი საზრდოობს თავისი ცოდვიანი საქმეების აღსრულებაში.

შექსპირმა ამ პიესაში გასაოცრად წარმოაჩინა ქალის როლი ძალაუფლებისაკენ სწრაფვის პროცესში. ლედი მაკბეტი — თავადაა გრძნეული საწყისის ხორციელ. გამტარი. ამ გამტარის მეშვეობით ზემოქმედებს ეს არაბუნებრივი საწყისი მაკბეტის სულსა და გონებაზე; და თითქოსდა დემონი სუნთქავს, ბორგავს მის გვერდით, აქეზებს და ეჩურჩულება მას საკუთარი მეუღლის სახით.

მაკბეტი უნდა დაიღუპოს. ეს გარდაუვალია, აქეთკენ მიისწრაფვის იგი არაცნობიერად. დემონური ბედისწერის ძალით ატანილ პიროვნებას ილუზიები აბრმავებენ: მას ეჩვენება, თითქოსდა ძლევამოსილად ადის ძალაუფლების სხივფენილ აღმართზე, სინამდვილეში კი თავქვე მიიჩქარის და დღითი-დღე უახლოვდება თავის კატასტროფას. მჩხიბავებმა მაკბეტს დამცინავი, მომატყუებელი ორაზროვნებით უწინასწარმეტყველეს: სანამ ბირნამის ტყე არ დაიძრება და სანამ ქალის მიერ არნაშობი არ შეგერკინება, შენი დამარცხება შეუძლებელიაო! და მანაც ირწმუნა საკუთარი უძლეველობა. მაგრამ მოხდა სასწაული: დაიძრა ბირნამის ტყეც (მტრის შეფოთლილი ლაშქრის სახით) და დედისაგან არნაშობმაც (კეისრის გაკვეთით მოვლენილმა) შურისძიების მახვილი აღმართა ტირანზე... მაკბეტი იღუპება. ლედი მაკბეტი ჭკუიდან იშლება და თავის სომნაბულურ ბოდვა-ბორიალს თვითმკვლელობით ასრულებს. ეს არის გარდაუვალი ფინალი ძალაუფლების საბედისწერო გზისა. ეს კატასტროფა მოიტანა იმავე დემონურმა ძალამ, რა ძალამაც აღაზევა ადამიანი...

ძალაუფლების ჟინით დამუხტული პოლიტიკა ყოველთვის ამჟღავნებს მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის სიმპტომს: მისთვის დამახასიათებელია მკვეთრი და სწრაფი გადავარდნები ერთი უკიდურესობიდან მეორეში; ასეთი პოლიტიკით მოცული საზოგადოება ან ძლიერ აღგზნებულ მდგომარეობაში იმყოფება ან უეცარ ნახტომს აკეთებს აპათიასა და გულგრილობაში. უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში შეინიშნება ასეთი სიმპტომი. ესოდენ გამძაფრებული, ისტერიამდე მისული კონფლიქტებიც ეროვნულ ძალებს შორის კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლა ერთ-ერთ წარმმართველ ტენდენციად გვევლინება ჩვენს მოძრაობაში. სამწუხაროდ, ასეა. რა თქმა უნდა, პოლიტიკას არ ქმნიან გულალალი ღვთისშვილები და, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, იგი, საერთოდ, წარმოუდგენელია ძალაუფლების ინსტინქტის გარეშე, მაგრამ საშიშია, როდესაც ეს ინსტინქტი ზოგჯერ წალეკვითაც კი გვემუქრება. ჩვენ ჩაბმული ვართ თამაშში, რომელსაც ხშირად თავად არ წარვმართავთ. მივყვებით დინებას, რომელსაც „სხვა“ აძლევს მოძრაობას და მიმართულებას. ჩვენ ვართ გარკვეულწილად ბრმა იარაღები ამ „სხვის“ ხელში. რა არის ეს „სხვა“? „მაკბეტი“ ტყუილუბრალოდ არ გამახსენებია, რადგან იქ მიგნებული ვრცელდება დღევანდელ საზოგადო სინამდვილეზეც. ვფიქრობ, რომ ადამიანისათვის უცხო ძალები ეპატრონებიან პოლიტიკას, რომელიც სულდგმულობს ძალაუფლების ინსტინქტებით, და ამ ძალებს, ალბათ, ბედისწერა ჰქვია. იგი ჩვენ — ადამიანებს ანუ პოლიტიკის ხელშესახებ, მზის შუქზე დასანახ მწარმოებლებს — თავისებურად გვაბურთავებს, გვიყენებს, ხან იქით, ხან აქეთ დაგვატარებს და ჩვენ კი ამაყად გვგონია, რომ თავად ვართ ერთადერთი მესაჭეები პოლიტიკის ხომალდისა, რომ მივდივართ იმ გზით და იმ შედეგისაკენ, რომელიც საკუთრივ დავისახეთ. ეს შემზარავი და ერთობ იდუმალი ფაქტია, რისი გაცნობიერებაც აუცილებელია. ისმის კითხვა: გამოსავალი? როგორ ამოვხტეთ, ამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან? გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, თითქოსდა არსებობს რაღაც მზა, ერთბაშად შედგენილი რეცეპტი. მაგრამ, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვთავისუფლდეთ სულის აკვიატებული მდგომარეობისაგან და დავეჩვიოთ თავისუფალ, ჯანმრთელ აზროვნებას. საოცარი ფენომენია აკვიატებულობა, როდესაც იგი ქრონიკულადაა ფეხმოკიდებული ინდივიდის (ან მცირე თუ დიდი ჯგუფის) ფსიქიკაში, ეს ნიშნავს, რომ ადამიანი უმართავია საკუთარი თავისთვის, რომ მას წართმეული აქვს თვითქმედების სადავეები. იგი უძლურია გააკეთოს თავისუფალი, შეგნებული არჩევანი, არამედ ბრმად მოქმედებს აკვიატებული წარმოდგენების ძალით. ბევრმა ჩვენთაგანმა, სამწუხაროდ, თავისი გააზრებული ნებით, ძალმოსილი ცნობიერებით კი არ აირჩია გარკვეული ავტორიტეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აიჩემა იგი, ხოლო ამ ორ ცნებას შორის უდიდესი ნაპრალია. მეორე მხრივ კი, ბევრი ჩვენთაგანიც სალი გონებით კი არ დაუპირისპირდა ავტორიტარიზმს და მის განმასახიერებელ პიროვნებებს, არამედ აკვიატებულად მათზე ფიქრით, მათი შიშით, სიძულვილით და ლანძღვა-გინებით ერთობ დაბრმავდა. ქრონიკულ აკვიატებას აქვს თავისი მიზეზი. იგი მხოლოდ და მხოლოდ შედეგია ადამიანის ფსიქიკაში ღრმად გამჯდარი და მასზე გაბატონებული უცხო, საბედისწერო ძალების, იმპულსებისა, ისევე, როგორც მაღალი სიცხე და ბოდვები — ორგანიზმში გააქტიურებული ვირუსისა. ჩვენ ვალდებულნი ვართ განვთავისუფლდეთ ამ ავადმყოფური მდგომარეობისაგან.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აღვნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენი შინაგანი მოთხოვნილების პირველ საგნად უნდა იქცეს გონივრული პოლიტიკა — სწორედ გონივრული პოლიტიკის წარმოება და დამკვიდრება საქართველოში. საჭიროა პირველ რიგში გავაცნობიეროთ უეჭველი ჭეშმარიტება: პოლიტიკას არ უნდა ჰქონდეს უზენაესი პრეტენზიები; იგი არ უნდა გვევლინებოდეს ჩვენი ეროვნული და საზოგადოებრივი (მით უმეტეს პიროვნული) ცხოვრების უზენაესი წარმმართველის როლში. პოლიტიკა საერთოდ არ შეიძლება იყოს თვითმიზნური, რამდენადაც მას საქმე აქვს მხოლოდ და მხოლოდ ფორმებთან: „სახელმწიფოებრიობა“, „დემოკრატია“, „ტოტალიტარიზმი“, „პლურალიზმი“, „დიქტატურა“ — ეს ყოველივე ფორმებია, რომლებიც ან ბოჭავენ ან კიდევ ფართო გასაქანს აძლევენ ერისა და პიროვნების არსობრივ შემოქმედებით ძალებსა და ენერგიას. ამიტომ ეროვნული მოძრაობა მეტია ვიდრე პოლიტიკა, ერი მეტია ვიდრე სახელმწიფოებრიობა: ერი მარადიული ფენომენია, ისევე, როგორც ადამიანური პიროვნება; სახელმწიფოებრიობა კი — ისტორიული აუცილებლობით შექმნილი ფორმა. ახლა უფრო დავკონკრეტდეთ და გავაცნობიეროთ შემდეგიც: მოცემულ ეტაპზე, საქართველოსათვის ამ უკიდურესი შეჭირვების ჟამს, როდესაც შიდა ქართლში ომი მძვინვარებს, ხოლო აფხაზეთი კი შეიძლება ნაბიჯ-ნაბიჯ მოსწყდეს ჩვენ სამშობლოს, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს კონსენსუსის დამყარება ყველა რეალურ ეროვნულ-პოლიტიკურ ძალას შორის, რომლებიც წარმოდგენილნი არიან, როგორც უზენაეს საბჭოში, ასევე მის გარეთ. საჭიროა მიღწეულ იქნეს გარკვეული პოლიტიკური შეთანხმება მათი მხრიდან, რაც სრულებით არ გულისხმობს ფარისევლურ ურთიერთჩახუტებასა და მარადიული ძმობის შეფიცვას. ამ კონსენსუსმა უნდა დასახოს ერთიანი მიზანშეწონილი გადაწყვეტილებები და პრაქტიკული ღონისძიებები საქართველოსათვის ყველაზე მტკივნეულ საკითხებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ დღეს-დღეობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კარდინალური მოთხოვნა და ე. ი. მთელი ჩვენი პოლიტიკური ძალისხმევის წარმმართველი ორიენტირი უნდა იყოს მოლაპარაკების დაწყების მოთხოვნა კრემლსა და ჩვენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტიური აღდგენისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის შეუვალობის თაობაზე. სწორედ ეს უნდა იქცეს მთელი ერის მოთხოვნად და მაშინ მას უეჭველი ძალა, რეზონანსი და შედეგი ექნება.

ვიმეორებ, რომ ზემოთ დასმულ კითხვაზე: რა არის გამოსა-
ვალი? ერთბაშად შედგენილი რე-
ცეპტის გამოწერა შეუძლებელ
და არასერიოზულიცაა, მაგრამ
მითითებული „პროცედურებ
ვგონებ, საგრძნობ სარგებელს მო
უტანს ჩვენ ეროვნულ მოძრაობ
თუმცა იმის გულუბრყვილო იმ
დიც ნუ გვექნება, თითქოსდა კონ
სენსუსით, მოლაპარაკებებით
გონივრული პოლიტიკის იდე
დამკვიდრებით ერი და მისი საქმ
ძირფესვიანად გაბრწყინდება, მა
ლით აივსება... მადლს მაინც სხ
უფრო სიღრმისეული ვითარებ
ანიჭებს მას.

ჩვენთვის, ქრისტიანებისათვი
უეჭველი უნდა იყოს: ყველაზე ა
მაღლებული სამყაროსეულ ქმნ
ლებათა შორის ერთადერთი რ
მაა: ღვთის ხატად შექმნილ
ადამიანი — თავისუფალი პირო
ნება. იგია სწორედ ანტიპო
ძალაუფლების ნებით, ანუ ბედი
წერით შეპყრობილი ადამიანის
და კიდევაც, რომ მრავალი და მრ
ვალი, ათასები, მილიონები, იყოს
გვარი ბედისწერით, მთელი საზოგ
დოება თუნდაც ერთი, თუნდაც მ
ტოდ-მარტო დარჩენილი თავისუფ
ადამიანი იქნება ღვთის თვალ
ცხოვრების აზრისა და გამარ
ლების მატარებელი. თავისუფლ
ბას უდიდესი გაბედვა სჭირდებ
გაბედო იყო თავისუფალი, იაზრ
და იმოქმედო ისე, როგორც ამ
შენი საგულდაგულო „მე“, შენ
კაცური სინდის-ნამუსი გკარნ
ხობს — ეს უძნელესი საქმეა
ამავე დროს ადამიანური ღირსებ
მასულდგმულებელი. ბევრ რამ
დათმობს თავისუფალი ნება, თით
ქმის ყველაფერს — პატივს, ძ
ლაუფლებას, ადგილს საზოგად
ბაში, ოჯახურ მყუდროებას, თავ
სიცოცხლეს... ხელის ძლიერი მ
სმით გაარღვევს იგი უთვალა
რეფლექსების, ინსტინქტების, ჩ
ვების ბადეს, რომელშიც ადამი
ყოველდღიურად გახვეულია
რომელიც მას გენეტიკურად
ტრადიციით მოსდგამს. ადამიან
ღირსების, თუნდაც მტრის ღირს
ბის სიყვარულმა მთელი თემ
რისხვა და წყევლა-კრულვა დაატ
ხა ალუდა ქეთელაურს. ყველა
თვის სათაყვანებელი ვაჟკაცი თ
მიდან მოკვეთეს, სახლ-კარი და
გრიეს. ალუდა თავისუფალი
როვნება იყო და საკუთარ უშინ
განეს გადაწყვეტილებას მან
უღალატა. დიახ, როდესაც ყველ
გიკიჟინებს: შენ დააშავე,
სტყუი, ქედი მოიხარე! და ეს ს
ყოველთაო გაგულისება მაინც ვე
გზარავს შიშით შენს სულს და გ
ნებას და დარწმუნებული სა
თარ სიმართლეში, ძალა შეგწე
მისდიო მის ხმას — ეს არის
როვნების, ღვთის ხატის და მსგ
ვსების ერთადერთი გზა...
არის თავისუფალი პიროვნება
სად არის იგი? არის კი საერთ
ჩვენს ირგვლივ და მახლობლა
დღეს, როდესაც მეტნაკლებ
ყველა ატანილი ვართ ძალაუფლ
ბისათვის ბრძოლის ფსიქოზით
ზოგი, როგორც უშუალო მონაწ
ლე ამ ბრძოლისა, ზოგი, როგორ
გულშემატკივარი, და ზოგიც,
რიდან სეირის მაყურებლის სახ
— ძალზე ძნელია შეამჩნიო
ამ აურზაურში, მაგრამ წინაა
დეგობა მხოლოდ აწრთობს
აცხოველებს ნებას. მჯერა, რომ
მოგუგუნე ფსიქოზი და დამთრ
ნველი ბედისწერა არათუ ვერ მ
აშთობს თავისუფლების სუ
არამედ პირიქით, გააძლიერებს,
აცხოველებს მას და ჩვენს მ
ლობლად ძალუმად დაილაპარა
ბენ პიროვნებები, რომლებიც
ვისუფლების სულით სუნთქავ
სწორედ მათი მეშვეობით მო
ჰება ღვთის მადლი საქართველ
ეროვნულ მოძრაობას, ყოველ ჩ
ნთაგანს... მათი მეშვეობით ვი
ლდგმულებთ ჩვენ.

**რედაქციისაგან:** შეუძლე
ლია არ დავეთანხმოთ წერილ
პათოსს, რომ, სამწუხაროდ, „
ლაუფლებისათვის ბრძოლა ე
ერთ წარმმართველ ტენდენც
გვევლინება ჩვენს მოძრაობაშ
რის გამოც, სოფლის ყველა შარ
ვეტიამ საკრებულოს უფროსო
მოინდომა. ზოგი წერა-კითხ
არცთუ საფუძვლიანად მცოდ
„მაკბეტი“ კი, პოლიტიკასთან
თარი კავშირი რომ არ ჰქონ
ისი „ლედის“ წაქეზებით,
ართველოს პრეზიდენტობ
უყოდა უარს, ის ფარსავი 10
ხმა ხომ არ ყოფილიყო საჭი
აკი ამის რეციდივებიც მოხდა პ
ზიდენტობის კანდიდატების წა
ყენების დროს.

**ჯემალ აფციაური**

# საით გაგვირბის სიტყვა?

## (ღია წერილი დეპუტატ ირინე ტალიაშვილს)

ამას წინათ გაზეთ „თბილისში“ „საქართველოს“ რესპუბლიკა-“ მწერალ ირინე ტალიაშვილის რილები წავიკითხე; და კიდევ თხელ შემებრალა ჩვენი თავში-ლი ინტელიგენცია, ზედ რომ ვისი წკიპურტი მოხვდება ხო-მე და ხან კიდევ ვისი. სიტყვა სცელქებია ჩვენს მწერალ ქალს, უჭირავს თავი, თითქოს ქარ-ველ ინტელიგენციას ცი არ ესა-რებოდეს, იმ ყმაწვილს ტუქსა-ეს, მეზობლის ბაღიდან ბალი მ მოიპარა. არ გამკვირვებია — რგა ხანია, რაც ქართველ ინტე-ლიგენტს ყოველ ცისმარე დღეს რის შიბილოს ვიღაცა უსრესს, აბა, ქალბატონი ირინე რაღა მონაკლისი იქნებოდა? ღმერთო, ცოდე და სტრიქონებს შორის ნი ავტორის ძალნი და უფლება-კარგად ჩანს — იქნება ამ ყვების თქმა სხვა დროს და ახ-ც მწერალ ირინე ტალიაშვილს რ გაებედნა, რადგან მისი მერ-ლი არც ისე მაღალზე დაფრი-, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, მ პარლამენტის წევრიც გახ-ვთ...

-ნო ირინე იმიტომ ჩხრეკს კა-ის წვერით ქართული ინტელი-ციის ეროვნულ გრძნობასა და დისს, რომ თურმე მას დღემდე ჩაუბამს მხიარული „ხორუმი“ ვრობის სასახლის გარშემო, არ აუხეფიათ პარლამენტის სა-ღებელი ჰიმნებით, სუსტად ნა-ლი ახლოს ეცემა, ქ-ნო ირინე! რალი ბრძანდებით და, აბა, თული სიტყვის ნათლულს ჩემ-რა გასწავლებათ, რომ შემოქ-ს, რომელიც კრუხივით გაპ-ავს ხოლმე ცხოვრებას და ისე ულობს თემებს, დრო რიყის ქვივით მოისვრის. მწვერვალის იადეც თურმე მისი წვერო-სიმა-იდან უფრო გამოჩენილა. ამი-მ, რა როგორ დუღდა, დადუღე-შემდეგ უფრო გამოჩნდება. აუშენებელ ან სანახევროდ ნებულ ტაძარში ვის ულოცნია, შეუფრენია შიგ სული თეთრი ედივით? თქვენ კი გინდათ, წა-მის დაქნევის სისწრაფით დაი-ს ქართული თეატრის აღორძი-ეროვნული, დღევანდელი თე-ოქით. **თქვენს ამ ამოძახილზე თი ხმა ვიცანი, პოეტებს რომ ლიდან ჰგლეჯდნენ „ახალი ცხო-ბის“ ხავალობლებს, ხოლო ც ამ ამოყვირებას დააგვიანებ-მაუზერის ტყვიებით აწერდნენ რდზე ხალხისა და ხელისუფ-ბის მოღალატის სახელს...**

-ნო ირინე! არის ისეთი რამ ს საგანძურში, ზედ მარტო **თის კალთიდან აფრენილი ფუტ-რომ უნდა დაჰბზუოდეს და თლის ალი ეალერსებოდეს, რა-ან ის ერმა თავისი სულის ფრე-დ მიიჩნია. ასეთია ქართული ლტურის ისტორიისათვის კოტე ჯანიშვილისა და სანდრო ახმე-ლის თეატრალური ღვაწლი.** დან დაიწყო ეროვნული თეატ-ახალი აღორძინება და მერე დროს, როცა ცეცხლის ცხელი თქვა ახმობდა ეროვნულ სულს კაენის აჩრდილი ეფინა საქარ-ლოს.

რა, ქ-ნო ირინე, დროს ფრთებს დააჭრით, ვერც ისტორიას ას-ლით, რა იყო, როგორ იყო და დის იყო..

მიტომ, თქვენმა მსჯელობამ გა-ვირვე. მეორეც — აბა, ვისგან ვის ესწავლება, რომ კონსტან-გამსახურდია გენიალური ქა-ველი მწერალია, მეფურად სუ-ს დიდოსტატი ქართული სიტყ-სამყაროში... მაგრამ ნუ დაგვა-ყდება, რომ მასაც, როგორც ოვნებას, შეეძლო ჰქონოდა ცე-აზრი საგნებსა და მოვლენებზე. ერვალს ნისლი ახვევია თუ მზე გალობს, მაინც მწვერვალია, რომ ბატონი კონსტანტინე დი-იყო მაშინაც, როცა „ნაკლე-აფასებდნენ“ და დიდია ახ-, როცა სათანადოდ ვაფასებთ, რამ სწორედ აქ წამოიჭრება იმ მენტარული ეთიკის ნორმები, ელთა დარღვევის უფლება არა ქვს — ბატონი კონსტანტინე ზიდენტის მამაც ბრძანდება და ვის სიფრთხილე გვმართებს მის ელთან მიახლოებისას, ცელაპ-ივით ჩუმად დავანთოთ სიტყვა ამ სალოცავ ტაძარში და არა ხმაურით, გამოსაჩენზე დადგომისა და მაღალი ყურადღების მიპყრობის მიზნით.

დიახ, ცერძო აზრი ჰქონდა ბატონ კონსტანტინეს ქართული თეატრის განახლებაზე და ნება მიბოძეთ, ქ-ნო ირინე, ეს აზრი მე არ გავიზიარო და ბევრთან ერთად საწინააღმდეგო შეხედულებისა ვიყო...

თქვენ აღნიშნავთ, რომ თურმე ერთ-ერთ რეჟისორს „არ მოსწონს ის, რაც საქართველოში ხდება“... ამიტომ „არ იცის, რა გადაილოს“... ხოლო საზღვარგარეთ ქართული კულტურის გატანას მავანის პატივმოყვარეობის მშრალი წყურვილით ხსნით. სცოდავთ, ქ-ნო ირინე. წარსული გვასწავლის, რომ ასეთი ფარული დიქტატიდან რამდენიმე ნაბიჯია სისხლიან ეშაფოტამდე. სანამ იმ რეჟისორს გოლგოთაზე გააგზავნიდეთ, იქნებ გეკითხათ, კერძოდ, რა არ მოსწონს? და რატომ არ მოსწონს? მე, მაგალითად, არ მომწონს თქვენი ასე აშკარად გამომჟღავნებული პარლამენტური ამბიციები და ქალბატონურად დაქნეული თითი. ლაქები კი, ჩემო ბატონო, მზესაც აქვს და რაიმე არმოსაწონი რომ ჩვენს ეროვნულ მოძრაობასაც ჰქონდეს, ეს ნურც კალამს შეგიშინებთ და ნურც იმას იფიქრებთ, რომ თქვენს ამჟამინდელ საზოგადოებრივ მდგომარეობას რაიმეთი დაემუქრება...

და კიდევ, ასე ხშირად ნუ დავაყენებთ ერთმანეთის პირისპირ ორ მდიდარ სიტყვას — **„ჩვენ“** და **„თქვენ“**. არა, ჩემო კეთილო, **„ჩვენ“ — ერია, ხალხია თავისი წარსულით, აწმყოთი, მომავლით, მთავრობით, პარლამენტით, ოპოზიციით და, როგორც, ბატონმა აკაკიმ ერთხელ ბრძანა, „ყველანი საქართველოს შვილები ვართ“...** ამის თქმისას უხერხულობა მიპყრობს, მაგრამ რა ვქნა, როცა თქვენს „ცეცხლისმფრქვეველ“ კალამს ფურცლის პატივისცემა დაუკარგავს და ლამის უფსკრულში ჩარეცხოს ქართველი ინტელიგენცია თქვენი სტრიქონის ლავამ.

ეს რა დიდებული აღმოჩენა გააკეთეთ! დიდება თქვენს ნიჭსა და მერმე უფალს, თურმე **პარლამენტში მოღვაწეთა გარდა საქართველოს ინტელიგენცია არ ჰყოლია — კოლოები არიან, ყვითელი კრაზანები და ფუტკრობას იბრალებენ.** საცოდავო ჩემო ხალხო, ეს რა სისასტიკით აგაგლიჯა წარბები შენსავე უბეში გაზრდილმა მწერალმა ქალმა — სანთლებიც ჩაჰქრობია ჩვენს სალოცავს, თუ მართლა არა გყავს ინტელიგენცია, ქ-ნ ირინეს რომ ჰკითხოთ, თავის დროზე ოპერის თეატრში „თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ დამფუძნებელ ყრილობაზე თავშეყრილი საზოგადოება ინტელიგენცია კი არა, იმ ნათელ დარბაზში შეზიდული ფუჩეჩი და შეყრილი ფარა ყოფილა. კიდევ კარგი, მწერალი ქალი შემთხვევით შესწრებია იმ სხდომას და ის ერთი მაინც ენთო ინტელიგენტური აკელაპტრებით იმ ცრუთა და ფარისეველთა საკრებულოში.

ქ-ნი ირინეს აზრით, „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ წევრები **„მიიწერენ“** ხოლმე ინტელიგენტის „წოდებას“, თორემ... სინამდვილეში თავმოყვარე და უსახური სუბიექტები არიან. ეს კი არა, თურმე პარლამენტისგან განსხვავებული აზრიც კი აკაკანდება ხოლმე მათ წრეში საბუდრიდან წამოგდებული კრუხივით. ეს კი ისეთ ცოდვად მიაჩნია, მწერალ ქალს, რომელიც არც მოინანიება და არც შეინდობა.

სხვა სიკეთესთან ერთად ქართველ ინტელიგენციას ქათმის სიბრმავეც... ნი. გაზეთის ნახევარ გვერდზე დასახლებულ თქვენ წერილში ერთხელაც არ არის ეს სიტყვა კეთილად ნახსენები.

მაშ, პარლამენტის გარეთ დარჩენილ ინტელიგენციას **წმინდა არაფერი შერჩენია, მაშ, თუ ოდნავ სხვაგვარად ფიქრობს, თქვენი კალმის ნაკბენით უნდა მოიკლას, რადგან თურმე ყველა დაკარგული პრესტიჟებისა და პირველობის ნოსტალგიას შეუპყრია...** რა არის ეს? თუ აზროვნების პრიმიტივიზმია, მადლობა ღმერთს, თუ იმ ბავშვის სიბრაზეა, კანფეტის დაკარგვა რომ აშინებს, ფუი ეშმაკს, მაგრამ თუ ცილისწამებაა, ვაი ჩვენს ერს, რადგან ამას კადრულობს ის, ვისაც მწერლის სახელი ზეთისხილის მწვანე რტოსავით დააქვს.

„რას გვერჩიან, რა გაუკეთებიათ“, — ისტერიულად გკივით სტრიქონი. ღმერთო, მომეც ძალი გაგებინებისა — მართლა ასე ფიქრობთ, თუ ეს ყველაფერი თქვენი ქალური კოპწია მრისხანება და ფერადი ბუშტის აფეთქებაა? — რომ დაინახონ, ტყვიასავით როგორ უზუზუნებს სიტყვა ირინე ტალიაშვილს. იმას კი რა მნიშვნელობა აქვს, ვის ხვდება და რას ხვდება — ერის გულსა თუ ღირსებას... იქნება, მართლა გჯერათ, რომ არავის არაფერი გაუკეთებია და თქვენი ნაღვაწი ხელებისა შურთ? ქ-ნო ირინე, ალბათ, სახლში კარტოფილის ნაფცქვენს არ გადახვეტთ ხოლმე ისე ჰაიჰარად, **როგორც ქართული ინტელიგენცია ჩაუძახეთ ისტორიის სანაგვე ყუთში — ეს მოკლეშარვლიანი „ფიცხი ბიჭები“. ნუ ატარებთ ამ ხიმართლით საქართველოს — ეს გზა ჯოჯოხეთის კარიბჭისკენ მიდის და არა ტაძრისკენ...**

„რას გვერჩიან...“ — არავინ გერჩით, ქ-ნო ირინე, დატკბით ძალაუფლებით, ამბიციებით, მაგრამ რა უფლებით ჩამოურიგეთ წკიპურტები ამ „ბიჭებს“, ვინ აღგჭურვათ ასეთი ძალმოსილებით?.

„არ დაიჯეროთ“, „პრესტიჟებს მისტირიან“, „პირველი ადგილების დაკავებას ჩივიან“, „თავიანთ საქმეს ახლაც პირველობენ“, „რა გაუკეთებიათ“ „უძირო გემის კაპიტნებს“... ამ ღარიბი არსენალით და ფუყე ვაზნებით აპირებთ გამარჯვებას, ქ-ნო ირინე? ასე ხომ ლობის პირას მიმსხდარი დედაკაცებიც არ გაჰკორავენ ხოლმე ელამსა და კაპას პატარძალს...

რა გამოდის? თქვენ „წოდებული“ ბრძანდებით, ყველა სხვა „ეგრეთწოდებული“... მაგრამ ის კი გავიწყდებათ, რომ პარლამენტის წევრი „მო-წო-დე-ბუ-ლი“-ც **უნდა იყოს კონსტრუქციული დიალოგისათვის, კამათის მაღალი კულტურისათვის, ერი ბროწეული არ** ტაძარს ავაშენებთ, მაგრამ გიფიქრიათ იმაზე, როგორ შეხედავს მზე იმ ტაძარს, რომელსაც არათავისუფალი ადამიანები ააგებენ? ცდებით, ღრმად ცდებით თავისუფლება ადამიანს დაბადებით — ბუნების ამ მისტერიით აქვს ნაბოძები, თქვენ კი ამ ღვთიურ მადლს დროის სასწორზე გვიწონით, თან გვარწმუნებთ, რომ მომავალში გრამობით მიგვიმატებთ, მომავალში, როცა „იმ ზომით“ დავინახავთ ჩვენს გარშემო თავისუფლებას... ანუ, როცა აღარ იბოგინებს სხვა აზრი, გარდა ერთისა, აზრთა აზრისა... როცა სიტყვა „ოპოზიცია“ ქართული ენიდან გადიკარგება...

ნუთუ ასე უნდა მსჯელობდეს პარლამენტის წევრი, მწერალი, უბრალოდ, მოქალაქე ოცდამეერთე საუკუნის გადასახედზე?!.

ასეა ეს, ქ-ნო ირინე, როგორც თქვენგან ავტორიტეტდაწიწკნილი ჭაბუა ამირეჯიბი გეტყოდათ. ნუ ავურევთ ცეცხლსა და წყალს ერთმანეთში. ვისა აქვს უფლება, მხარი არ დაუჭიროს ხალხის, ანუ მისი უმრავლესობის მიერ არჩეულ ხელისუფლებას? არავის. ეს უზნეობა იქნებოდა, მაგრამ პაპისგან ან პერპერასგან არ გაგიგიათ, იმ ვაზს რა მოსდის ხოლმე, რომელსაც თოხითა და მაკრატლით მეზვრე არ დასტრიალებს, არ ფურჩქნის, არ სხლავს და ამით არ აცოცხლებს? ხმება, დიახ, ხმება, ან გაველურდება, ბარდსა და ეკალს დაუძმობილდება, საწნახელს და ქვევრს შეიზიზღებს! იქნებ ამ იგავმა მიგახვედროთ, **რომ ოპოზიცია არც დასაწყევლია და არც დასაგმობი?..**

სწორი ბრძანდებით, ქ-ნო ირინე, ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი კომუნისტური დიქტატურის ცივი მზის ქვეშ ცხოვრობდა, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, **განა პარლამენტში მოღვაწე ყველა ქართველი ჯოხსა და კეტს უქნევდა ამ დიქტატურას? განა პირადად თქვენ ასე ხმამაღალი იყავით მაშინ?**

თქვენ, პატივცემულო მწერალო, მართლაც, ერთი ხელის მოსმით წაუშალეთ სახე და შუბლი ქართველ ინტელიგენციას, თავზე მასხარის ჩაჩი დაახურეთ და თეიმურაზ ხევისთავის ფრაკი გადააცვით. როგორ მოგიბრუნდათ ენა, როგორ არ აგიხველდათ კალამი ამის წერისას?! იქნებ მართლა გგონიათ, **რომ დღევანდელი ეროვნული მოძრაობა უფეხვო მუხაა, რომ საქართველოს უკვდავების წყალს არც ქართული მწერლობა ასმევდა, არც მეცნიერება, არც თეატრი და არც კინემატოგრაფია? მაშ, არასოდეს არავინ ყოფილა და არაფერი ყოფილა? ქართველ ხალხს ინტელიგენცია კი არა რეჟიმის დაწუწკებული ფინიები ჰყოლია. ხა-**რმავეც სჭირვებია, მას თურმე „არ სურს დაინახოს“, როგორ ალზევდა ერის სული, „როგორ იმსხვრევა კარიერიზმისა და მაფიის მძიმე ბორკილები“ და ა. შ. ლოგიკური იქნებოდა, ეს სულისშემხუთველი ბრალდებები შექსპირისეული სიბრძნის მეტაფრაზით დაგემთავრებინათ, ქ-ნო ირინე — „არარაობავ, ინტელიგენტი უნდა გერქვას შენ“! წერისას ნუთუ კალამი არ აგიკანკალდათ ხელში? თუ, ისე გაერთეთ ბარიკადების შენებაში, რომ ჰპელა ქორად მოგეჩვენათ და მერცხალი პინგვინად? ინტელიგენცია „პლასტელინი“ არ გახლავთ, პატივცემულო მწერალო, რომ გასართობად თითებით ზილოთ და მისგან ეროვნული მოძრაობის მტრის სახე შექმნათ თქვენი შეზღუდული მწერლური გაქანების კვალობაზე. ოპოზიციის სიძულვილით დაგითვრიათ ყველა სტრიქო-

**არის, ქ-ნო ირინე, რომ ასე ჰაიჰარად გახლიჩოთ და დააქუცმაცოთ.**

არის თქვენს წერილში ერთი ტანწერწეტა აბზაცი, რომელმაც ჯერ მაცინა და მერე გამაკვირვა. იასპერსსაც იმოწმებთ, მაგრამ აბა, რა თქვენი ამხანაგია ეს პატიოსანი ფილოსოფოსი, რომ სოფიზმის მტვერს აყრით თვალებში?

თქვენი განსჯის მიხედვით, დღეს საქართველოში ადამიანმა არ შეიძლება დააყენოს „პიროვნების თავისუფლების“ საკითხი, რადგან თურმე „ადამიანი თავისუფალია იმ ზომით, რა ზომითაც ხედავს თავის გარშემო თავისუფლებას“ (იასპერსი)“. აი, როგორ გაებით სიტყვის კაკანათში — ე. ი. პიროვნება დღეს „ვერ ხედავს“ თავის გარშემო „იმ ზომის თავისუფლებას“, რომ თვითონაც „თავისუფალი იყოს“... რომ იგი სრულად მაშინ გათავისუფლდება, როცა საოცნებო ვარძლის რაინდები. დემაგოგები? ეს თურმე იმიტომ, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს ბაზალეთის ტბაში პანტაპუნტით არ ცვიოდნენ საოცნებო აკვნის ამოსაზიდად... ბრძოლის გზა მრავალია, ქ-ნო ირინე, მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ, რაღაც არ მახსოვს, თქვენს სახელსა და გვარს თავისუფლების კოცონად ეგიზგიზა იმ ბნელეთში, არც თქვენს მოკრძალებულ კალამს გამოუჩენია დიდი რამ სითამამე. თქვენც ხომ მერცხალივით მაშინ შეფრინდით ეროვნულ მოძრაობაში, როცა გაზაფხულის სუნმა ყველა გაგვაბრუა, აგვანთო და აგვამხევა?

ქ-ნო ირინე, მაპატიეთ, თუ ერთ უტაქტობასაც შეგნიშნავთ — წერილში ბრძანებთ, რომ თურმე „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ ყრილობაზე „შემთხვევით მოხვედრილხართ“, მერე მთელ აბზაცს ანდომებთ „ბნ-ვალერიან ადვაძის შუბლის დამუშავებას“ — დიქტატორი, დესპოტი, ყრილობის „თამადა“. რაღა არ უწოდეთ. შემთხვევით, ქ-ნო ირინე, პირადად მე არსად მოვხვედრილვარ და, თუ ასეთი რამ მოხდება, ზრდილობა, ალბათ, იმის ნებას არ მომცემს, იქ ნანახი განვსაჯო და თანაც ტენდენციურად. ნუთუ სხვის წერილებს კითხულობთ, ქ-ნო ირინე? ნუთუ სხვის მიხურულ კარზე გიყვართ ყურის მიდება?

თქვენ ლანძღავთ და აბეზღებთ „თანხმობისა და აღორძინების კავშირს“ მკითხველის წინაშე პრეზიდენტის არჩევნების წინ. გაგახსენებთ, რომ პრეზიდენტი დიდ ოჯახში აღზრდილი, კულტურული, დახვეწილი კაცია და არა მგონია, ყელის ძარღვების ასეთი ყალბი დაბერვა და ხრინწიანი სტრიქონები მოგიწონოთ, ან ინტელიგენციის ნახირად ჩათვლისათვის დაგიკრათ ტაში... მე დიდ პატივს ვცემ რაფინირებულ პიროვნებას ბ-ნ თენგიზ სიგუას, სიტყვააწონილ აკაკი ასათიანს, ბ-ნ ნემო ბურჭულაძეს... პარლამენტის ბევრ წევრს! იქნება ისინი ინტელიგენციის წარმომადგენლები არ არიან, ქ-ნო ირინე?

ბოლოს, არ შემიძლია თქვენგან მოქნეული სილა ლოყიდან არ ჩამოვბანო ბ-ნ ჭაბუა ამირეჯიბს. ფაქტი ფაქტად რჩება — ბ-ნი ჭაბუა, ისევე როგორც ბევრი სხვა, მიიჩნევს, რომ რესპუბლიკის ცხოვრებაში ადგილი აქვს დემოკრატიზმის პრინციპების გაყალბების შემთხვევებს, რისი ერთი ნიმუში თქვენი პუბლიკაციებიც გახლავთ. იგივე მიიჩნევს, რომ სიტყვაშეუბედებელი მხოლოდ ღმერთია და არა ერის შვილი, ერისვე მიერ წინამძღოლად დადგენილი. აი, სულ მისი „დანაშაული“. დიახაც, არ დაუშვებს ინტელიგენცია, რომ იმ პოლიტიკური წნევით ვიცოცხლოთ, რომელიც დამბლამდე მიგვიყვანს. არ დაუშვებს, რომ ფილაცის მრუდე შუბლმა ვინმეს კულტი შექმნას.

მანამდე კი იმაზე ვიფიქროთ, ქ-ნო ირინე, რომ სიტყვასაც და აზრსაც ეთიკა, მორალი უნდა უძღოდეს წინ. მეხოტბენი და კარის პოეტები, კარის პუბლიცისტები არ სჭირდება რესპუბლიკის პრეზიდენტს, თორემ ენაგაქცეული და სიტყვაამღვრეული ვინმე „მესიად“ გამოაცხადებს, მან კი საჯაროდ ბოდიში უნდა მოიხადოს სხვისი სისულელის კუნტრუშის გამო...

სათქმელი როგორ არ დამრჩა, მაგრამ თქვენი შემართება რომ ვიცი, ამ წერილის პასუხსაც ჩქარა, ერბოკვერცხივით შემიწვავთ და დანარჩენი მერე იყოს, ალბათ, მანამდე, კალამი არ გამიშრება..

P. S. ეს წერილი იწერებოდა, როცა „თბილისში“ გამოქვეყნდა იოსებ ჭუმბურიძის მოსაზრებანი თქვენს პუბლიკაციაზე, ზოგ ასპექტში ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს დაემთხვა. ბ-ნი იოსები გაკვირვებას გამოთქვამს — რატომ დუმს ინტელიგენცია, როცა ქ-ნი ირინე ხმამაღალი და სიტყვასწრაფია.. როგორც ვხედავთ „ინტელიგენცია არ დუმს“, ის ფიქრობს...




ნახატი მურთაზ აბაშიძე

ფასი 50 კაპ.
ინდექსი 66447
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 11, ტელ.: 22-16-01.
გამოცემა ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო"
რედაქტორი ნოდარ ზრისადაშვილი